# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 18 აპრილი 1995 № 18 (156) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევს, 14 აპრილს საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში გაუგონარი რამ მოხდა: „კაქტუს“ – „ვითას“ მატჩის ბოლო წამზე მაყურებლები ტრიბუნებიდან მოედანზე გადმოეშვნენ. ერთმა მათგანმა შეხვედრის მსაჯს, 68 წლის ლევან ინწკირველს თავში მუშტი ჩაარტყა და დაანოკაუტა. სხვებმა მეორე მსაჯისკენ, სერგო მაღალაშვილისკენ გაიწიეს და ერთი-ორი ჭიტლაყიც მიაყოლეს. სამდივნოსკენ მოფრინავდა ბურთები, სკამები, ჩანთები და სხვა ათასგვარი ნივთი, რაც კი გამძვინვარებულ ბრბოს ხელში მოხვდებოდა. იმ დღეს სპორტის სასახლეში პოლიცია არ ყოფილა, ამიტომ ამ ხალხის დაშოშმინება-დაშლა კალათბურთელებმა, მწვრთნელებმა და თითო-ოროლა თანამდებობის პირმა იკისრეს. ასე ერთბაშად წაიმურდლა ჩვენი კალათბურთი, რომელსაც აქამდე იმით მოჰქონდა თავი (და სამართლიანადაც), რომ საქართველოში ყველაზე ობიექტური, კარგი და თვინიერი მაყურებელი მყავსო. მატჩი ჩაიშალა, ოფიციალური ვერსიით (რაც ტაბლოზეც ჩანდა) მის დამთავრებამდე მხოლოდ 1,6 წამი რჩებოდა. შეწყვეტის მომენტში „კაქტუსი“ 82:81 იგებდა... ვერდიქტი კი გუშინ გამართულ ფედერაციის სხდომამ გამოიტანა:

# კაქტუსი — ვითა 0:0



გია ახალაძის ფოტოები



„კაქტუსი“ – „ვითას“ 14 აპრილის ჩაშლილი მატჩის განხილვა სპორტდეპარტამენტმა კალათბურთის ფედერაციას დაავალა. ამანაც, გუშინ 12 საათზე მოიწვია სხდომა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სხდომაზე მისული 12 ჟურნალისტი დარბაზში არ შეგვიშვეს. ისე, როცა სახელმწიფოს მეთაური ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ხვდება, ჟურნალისტებს იქ არ უხურავენ კარს ცხვირწინ, ფედერაციას კი რა უნდა ეთქვა იმისთანა, ჩვენთვის გაგონება რომ არ შეიძლებოდეს?! ასე იყო თუ ისე, სხდომამ 4 საათს გასტანა და მის შემდეგ ჩვენივე ინიციატივით მოწყობილ პრესკონფერენციაზე ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა შემდეგი გვამცნო:

„კაქტუსი“ – „ვითას“ მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება და დაეწერა 0 ქულა (ანუ, ერთი ქულა დააკლდა). ორივე კლუბს მიეცა ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია. ჩემპიონატი განახლდება 20 აპრილს. ექვსეულის მეორე წრის ორი გამოტოვებული ტური გაიმართება 20-21 აპრილს, ძველებურად, სპორტის სასახლეში. ნახევარფინალები მოეწყობა 25, 27 და, თუ საჭირო გახდა, 28 აპრილს, სუპერფინალები კი 30 აპრილსა და 1 მაისს (საჭიროების შემთხვევაში 2 მაისსაც). საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გიორგი ავალიშვილი ამიერიდან კვლავ იმსაჯებს. ალბათ, ასევე მოიქცევა ფიბა-ს მეორე მსაჯი მურმან ქურიძეც (თუმცაღა, გაზეთის აწყობის მომენტში იგი სპორტდეპარტამენტის თავმჯდომარესთან კახი ასათიანთან გახლდათ ზოგიერთი საკითხის შესათანხმებლად). იმსაჯებს როლანდ გელოვანიც, ოღონდ, „ვითას“ თამაშებს – არა: მე „ვითას“ ბავშვთა სკოლაში ვმუშაობ, იქ ხელფასს ვიღებ და თავს სალაპარაკოდ არ გავიხდიო.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი ჩვეულებრივად განაგრძობს მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის. მისთვის სანქციები არავის გამოუტანია.



**თემურ დათიკაშვილი**
**(„ვითას“ პრეზიდენტი)**

– რაც თამაშზე მოხდა, უმსგავსო საქციელი იყო და იგი ჩაიდინა მაყურებელმა. ნაწილობრივ ჩვენი, გუნდების ბრალიც იყო, მაგრამ ძირითადი მიზეზი გახლდათ უხარისხო მსაჯობა. იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მატჩი ცუდად იყო ორგანიზებული – დარბაზში არ იყვნენ წესრიგის დამცველები, მაყურებელს კი არ უნდა შეეძლოს მოედანზე გადმოსვლა. ფედერაციის სხდომაზე ორივე გუნდმა დავაყენეთ მატჩის გადათამაშების საკითხი, მაგრამ უარი გვითხრეს.

ფედერაციამ გეგმები დასახა სიტუაციის გამოსასწორებლად. რა მოყვება ამას, წინასწარ ვერ გეტყვით, ალბათ, დრო უკეთ გვიჩვენებს. ისე, ამაზე ზედაპირული ლაპარაკი არ შეიძლება– საჭიროა სერიოზული მსჯელობა და იმ მიზეზების მიკვლევა, რამაც გამოიწვია 14 აპრილის ინციდენტი.



**თამაზ ოქრუაშვილი**
**(„კაქტუსის“ მთავარი მწვრთნელი)**

– ითქვა, რომ კლუბები ცუდად იქცევიან. თუ მართლა ასეა, დღევანდელ სხდომაზე მიღებული ზომები ადრე უნდა გაგვეტარებინა. საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა. ჩემი აზრით, თავისი წილი დანაშაული ყველას მიგვიძღვის. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ჩემპიონატი ძალიან დაბალ დონეზეა ორგანიზებული.

ვფიქრობ, გადათამაშება აუცილებელი იყო. ორივე გუნდისთვის წაგების ჩათვლა არასწორად მიმაჩნია, რადგან თამაში დამთავრებული არ იყო.

სანამ ჩვენ ამ დონეზე ვაქნებით, დღევანდელ და მსგავს გადაწყვეტილებებს მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათი ექნება. რეფორმა აუცილებელია. თუკი ჩვენი საკალათბურთო მეურნეობა და აზროვნება საფუძვლიანად არ შეიცვალა, საქმეს არაფერი ეშველება.

მერაბ რატიშვილი



# ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ!

## საკუთრივ მატჩი

ამ გუნდებს შორის ჩემპიონატში რიგით მეოთხე იყო. წინა სამი „კაქტუსმა“ მოიგო და, ცხადია, ამჯერადაც იგივეს შეეცდებოდა, რათა მეტოქესთან „მშრალი ბალანსი“ ჰქონოდა. თავის მხრივ, ვითელებს პრესტიჟის დაცვა სურდათ, თანაც ფლეი-ოფის წინ ლიდერის დამარცხებით სამომავლო განწყობასაც აიმაღლებდნენ. არბიტრებად, როგორც წინა მატჩში, ინწკირველი და მაღალაშვილი დაინიშნენ. არცერთი მათგანი არ გახლავთ კვალიფიკაციამიღებული, პროფესიონალი მსაჯი. ინწკირველი მწვრთნელია, მაღალაშვილი კალათბურთში არ მუშაობს და, როგორც თავად ამბობს, თამაშებს ხათრისთვის მსაჯობს. ცხადია, შეხვედრა უაღრესად დაძაბული იქნებოდა, თანაც ამგვარი არბიტრების ხელში. დიდი მიხვედრილობა არც იმას სჭირდებოდა, რომ ამგვარ ვითარებაში პოლიციელთა ერთი რაზმი მაინც ჰაერივით აუცილებელი იყო. ამ გუნდების პირველ მატჩზე ომონელები მოვიდნენ, მესამეზე – პოლიციელები. მაშინ მათი ჩარევა საჭირო არ გახდა და იქნებ იმიტომაც, რომ ფორმიანი კაცის თუნდაც მხოლოდ გამოჩენა იძულებულს ხდის მაყურე-

იხილეთ მეექვსე გვერდი

მე-6 გვერდზე მოტანილმა გათამაშების ცხრილმა ფედერაციის გადაწყვეტილების შემდეგ ასეთი სახე მიიღო:

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 26 | 25 | 1 | 2477-1651 | 50 |
| დინამო | 26 | 21 | 5 | 2415-1870 | 47 |
| ვითა | 26 | 21 | 5 | 2599-1705 | 46 |
| მერანი | 26 | 12 | 14 | 1931-2060 | 38 |
| თორსი | 26 | 11 | 15 | 1717-2099 | 37 |
| აზოტი | 26 | 10 | 16 | 1813-2097 | 35 |

კაქტუსს, ვითას და აზოტს დაკლებული აქვთ თითო ქულა

## საქართველოს თასი

ნახევარფინალის პირველი მატჩები. 13 აპრილი.

### ზუგდიდი 3:4 დინამო

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, გაბისონია (აფაქიძე 86), გაბედავა

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ანჩაბაძე, ცქიტიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (დემეტრაძე 70), ქინქლაძე, ყაველაშვილი (პეტრიაშვილი 77)

0:1 ანჩაბაძე (13), 0:2 ჯამარაული (66), 1:2 დარასელია (75პ), 1:3 ქინქლაძე (77პ), 2:3 ქაძანაია (82), 2:4 ლობჟანიძე (84), 3:4 ქაძანაია (86)

მსაჯი: მ.კობიაშვილი (დუშეთი)

### მეტალურგი 0:0 ბათუმი

მეტალურგი: კოროშინაძე, ქველაძე, ბურნაძე, არჩვაძე (ზირაქაშვილი 46), კობიაშვილი, ყაველაშვილი, ტარტარაშვილი, გ.კილასონია, პერტია, მეტრეველი (ჩალაძე 55), ალადაშვილი

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ფუტკარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ.მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი (უჯმაჯურიძე 87), ტულუში, ამბიძე (კანტიძე 36)

გაფრთხილება: შეყილაძე, ტარტარაშვილი

მსაჯი: თ.ლაცაბიძე (სურამი)

საპასუხო მატჩები — 15 მაისს

## ჩემპიონატი. I ჯგუფი

XIX ტური. 2 აპრილი

### სამტრედია 1:0 დინამო

სამტრედი: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, (ფანჩულიძე 58), ჯელაძე, ჯიშკარიანი, ამაშუკელი, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჯიკაევი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ანჩაბაძე, კიკნაძე, ჯამარაული, იაშვილი (დემეტრაძე 63), ქინქლაძე, ყაველაშვილი

1:0 იონანიძე (70)

გაფრთხილება: დიდავა, ჯიკაევი, კიკნაძე, ყაველაშვილი, ამაშუკელი, მაჭავარიანი

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

XX ტური. 7 აპრილი.

### კოლხეთი 3:0 სამტრედია

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, დანელია, გოროზია, ლალანიძე, ტორჩინავა, მახარაძე (გიგატაძე 72), გიორგაძე, დარასელია, ბულუხია (თიბილაშვილი 46)

სამტრედია:ჭანტურია (დოლაბერიძე 85), იონანიძე, გოგიტაძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ამაშუკელი (ჩომახიძე 75), გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ფანჩულიძე

1:0 მიქაბერიძე (72), 2:0 მიქაბერიძე (85), 3:0 მიქაბერიძე (89)

გაფრთხილება: დ. ჯანაშია, ამაშუკელი, კაკაჩია

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

XXI ტური. 10 აპრილი

### გურია 0:1 კახეთი

გურია: წულაძე, ქიქავა (კოროტკოვი 52), თევზაძე, განიევი (სიხარულიძე 46), ბუცურეიშვილი, ლორია, კვინტრაძე, ნარიაშვილი, პატარაია, გამცემლიძე, ბურდული

კახეთი: ჩლაიძე, შონია, ა. ხორხელია, ცქიფურიშვილი, სოლოლაშვილი, მაისურაძე, სირაძე (ზამთარაძე 80), ლ. ხორხელი, კალუჟა, ბაბულაიძე, დოლიძე

0:1 სირაძე (12)

მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

### ბათუმი 0:0 კოლხეთი

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე, შანიძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე მაჭუტაძე, ხომერიკი (ამბიძე 77), კანტიძე, უჯმაჯურიძე (მუჯირი 46)

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, თიბილაშვილი, დანელია, გოროზია, ლალანიძე, ტორჩინავა, დ. მახარაძე (გიგატაძე 68), გიორგაძე, დარასელია, ბულუხია (კიკლიაშვილი 46)

გაფრთხილება: გიორგაძე

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### სამტრედია 3:1 ტორპედო

სამტრედია: დოლაბერიძე, ჯიკაევი, გოგიტაძე (მ. ვაშაკიძე 80), ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ჩომახიძე, ზ.ჯანაშია, ფანჩულიძე

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, თურმანიძე, ბზიკაძე, (გიორგობიანი 46), ვოსკანოვი, ნიქარიშვილი, სუხიაშვილი, ხუნდაძე, ნოზაძე (ვაჩიბერაძე 60), გ.მეგრელაძე, კვეტენაძე

1:0 ჯიშკარიანი (39), 2:0 გოგიჩაიშვილი (72), 3:0 ზ. ჯანაშია (77), 3:1 კვეტენაძე (87)

მსაჯი: ე.სილაგავა (თბილისი)

XXII ტური. 16 აპრილი

### დურუჯი 0:1 სამტრედია

დურუჯი: პაქსაშვილი, ვ.ხუბეჯიშვილი, ყანჩაშვილი, გეგეშიძე, მოსიაშვილი (ბოჭორიშვილი), ჭაჭუა, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, (ქარენაშვილი), პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლევინიაშვილი

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გოგიტიძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია (ამაშუკელი 55, გუჯაბიძე 85), ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

0:1 ზ. ჯანაშია (20)

გაფრთხილება: მოსიაშვილი

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### კახეთი 0:2 მარგვეთი

კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, ცქიფურიშვილი, სოლოლაშვილი, მაისურაძე, ბაკურაძე, ლ. ხორხელი, ა. ხორხელი, ბაბულაიძე, სირაძე (დოლიძე)

მარგვეთი: გვენცაძე, ტონია (ბებიაშვილი 25), გურიელიძე, მაღლაკელიძე, ლონლაძე, კაციაშვილი (ჩხეტია 60), გაბრიჭიძე, სულაკაძე, ლანჩავა, კიკნაძე, ენდელაძე

0:1 გაბრიჭიძე (80), 0:2 კიკნაძე (87)

გაფრთხილება: ლანჩავა

გაძევება: კაციტაძე

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### ტორპედო 4:2 ბათუმი
### სამგურალი 1:0 დილა
### საპოვნელა 2:2 ივერია
### ზუგდიდი 1:0 მეტალურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 22 | 19 | 1 | 2 | 60-18 | 58 |
| დინამო | 21 | 17 | 2 | 2 | 88-24 | 53 |
| კოლხეთი | 21 | 15 | 3 | 3 | 46-15 | 48 |
| ბათუმი | 22 | 11 | 5 | 6 | 51-32 | 38 |
| მეტალურგი | 22 | 10 | 6 | 6 | 32-23 | 36 |
| ტორპედო | 22 | 11 | 2 | 9 | 39-33 | 35 |
| ზუგდიდი | 22 | 9 | 3 | 10 | 39-37 | 30 |
| დილა | 22 | 8 | 5 | 9 | 15-23 | 29 |
| [illegible] | 22 | 7 | 5 | 10 | 33-54 | 26 |
| ივერია | 22 | 7 | 3 | 12 | 33-36 | 24 |
| შევარდენი | 22 | 6 | 5 | 11 | 23-34 | 23 |
| მარგვეთი | 22 | 6 | 5 | 11 | 17-40 | 23 |
| კახეთი | 22 | 5 | 7 | 10 | 25-38 | 22 |
| საპოვნელა | 22 | 5 | 4 | 13 | 26-54 | 19 |
| დურუჯი | 22 | 5 | 1 | 16 | 19-54 | 16 |
| სამგურალი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-50 | 14 |

## II ჯგუფი. დასავლეთი

XIV ტური. 2, 3 აპრილი. სქური — შუქურა 2:0, სოლორი — ეგრისი 0:1, იმერეთი — მერცხალი 0:1, უნივერსიტეტი — კახაბერი 1:2, ბახმარო — საჩინო 0:3 (ბახმარო არ გამოცხადდა)

XV ტური. 10, 11 აპრილი. საჩინო — უნივერსიტეტი 1:2, ეგრისი — სქური 3:0, ბახმარო — სამეგრელო 3:0, მეშახტე — იმერეთი 4:1, მერცხალი — სულორი 1:3, შუქურა — მალაროელი 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 14 | 12 | 1 | 1 | 34-11 | 37 |
| მეშახტე | 13 | 11 | 1 | 1 | 41-14 | 34 |
| მერცხალი | 14 | 10 | 0 | 4 | 27-16 | 30 |
| ბახმარო | 14 | 8 | 1 | 5 | 30-17 | 25 |
| კახაბერი | 13 | 8 | 1 | 4 | 20-19 | 25 |
| სამეგრელო | 13 | 7 | 0 | 6 | 13-14 | 21 |
| სულორი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-15 | 20 |
| სქური | 14 | 5 | 2 | 7 | 22-28 | 17 |
| მალაროელი | 13 | 5 | 1 | 7 | 17-21 | 16 |
| უნივერსიტ. | 14 | 5 | 0 | 9 | 24-32 | 15 |
| იმერეთი | 14 | 3 | 1 | 10 | 14-24 | 10 |
| შუქურა | 14 | 3 | 0 | 11 | 13-29 | 9 |
| საჩინო | 14 | 1 | 0 | 13 | 9-43 | 3 |

# პასი პასისა წილ...

## კოლხეთი 4:1 შევარდენი

XXII ტური. 16 აპრილი

კოლხეთი 1913: ბოჭორიშვილი, მიქაბერიძე, კაკაჩია, დანელია, გოროზია, ლალანიძე, ტორჩინავა, მახარაძე (ქუნთელია 77), გიგატაძე, დარასელია, ბულუხია (თიბილაშვილი 23)

შევარდენი 1906: აბუსერიძე, შილაკაძე, მჭედლიშვილი, გუჩუა, ე. ბერიშვილი (ფრიდონაშვილი 61), ბარქაია, მაჭაცარია, ლ. ბერიშვილი (თოლორდავა 73), გოგოლაძე, ჯელაძე, შუბითიძე

1:0 მიქაბერიძე (4), 2:0 დარასელია (47), 3:0 მიქაბერიძე (69), 3:1 გოგოლაძე (72), 4:1 მიქაბერიძე (80)

მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

„კოლხეთის" წაუგებელი სერიის ორასმეოთხე დღეს ფოთს ესტუმრა თბილისის „შევარდენი", რომელიც ბოლო წაგების მერე მეექვსე დღეს ითვლიდა.

პირველ ტაიმში, რომ არ გცოდნოდა, ვერ გაარჩევდი, ვინ სტუმარი იყო, ვინ — მასპინძელი. დასაწყისშივე დარასელიას ჩაწოდებული კუთხურიდან მიქაბერიძის მიერ გატანილ გოლს თუ არ ჩავთვლით, თბილისელებმა ტოლი არ დაუდეს ფოთელებს. ეგ იყო, მასპინძლებს დარასელია ჰყავდათ გუნდში, სტუმრებს კი მისი მსგავსი არავინ. მეორე ტაიმი დაიწყო და მიქაბერიძემ დარასელიას „პასის ვალი" გაუსტუმრა, ამანაც, კარისკენ ზურგით მდგარმა, ბურთიც დაამუშავა, ჩაწვა კიდეც და შემოტრიალებულმა ულამაზესი გოლიც გაუტანა აბუსერიძეს. აქ უეცრად თბილისელ ენრიკო ბერიშვილს დაშავებულმა მუხლმა უღალატა და ტრიბუნიდანაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ექიმს ჩამოყრდნობილი შევარდნელი მცველი მენისკის დიაგნოზით მიეშურებოდა გასახდელისკენ.

დარჩენილ ნახევარ საათში დარასელიამ საფეხბურთო სასწაულები აკეთა: მარცხნიდან შეჭრილმა როგორც ვეამ მოსკოვში, ჯერ ტერფის შიდა ნაწილით დაფარა ბურთი და ერთი მცველი მოატყუა, მერე მეორე — ტერფის გარე ნაწილით, აი, დარტყმა კი ცხრიანს ოდნავ ააცილა. ამ მომენტის მერე შევარდნელთა მთელი დაცვის გასწვრივ ბრწყინვალე პასით აბუსერიძესთან პირისპირ გაიყვანა მიქაბერიძე და მესამე გოლიც გაატანინა, მას შემდეგ კი, რაც თბილისელმა კახა გოგოლაძემ ჭვინტის მოჭრილი დარტყმით ფოთელთა ცხრიანში გაახვია ბურთი, დარასელიამ კვლავ საგოლე პოზიციაზე გაიყვანა მიქაბერიძე, ჩემპიონატში მეორე „ჰეთ-თრიქი" შეასრულებინა, გუნდს დიდი ანგარიშით მეოთხეჯერ გაამარჯვებინა და ჩემპიონატში მესამე ადგილიც ფაქტობრივად გაახალდებინა. ფოთელებმა, სულ ცოტა, 210-მდე გაზარდეს წაუგებელ დღეთა ოდენობა.

მატჩის შემდეგ ფოთელთა ხელმძღვანელობას გავესაუბრე:

**სოსო ფილია (მთავარი მწვრთნელი):** — ევროტურნირებზე გასვლის შემთხვევაში გუნდში ბევრი რამ შეიცვლება: გუნდიდან წავლენ ისინი, ვინც ვერ დააკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს და მოვლენ უფრო ძლიერები. რამდენიმე მათგანის გვარი უკვე ჩანიშნული მაქვს.

**— ამ თამაშამდე, ლამის იყო, მთელი საფეხბურთო სამყარო აფორიაქა თქვენს მიერ „სამტრედიის" განადგურებამ, თანაც სამივე გოლი სწორედ თქვენს მიერ წინწაწეულ მიქაბერიძეს გაუტანია.**

— სამტრედიელებთან მატჩის პირველ ოც წუთში მეტოქემ გვაჯობა კიდეც. საერთოდ, პირველი ტაიმი უშეღავათო და დაძაბული იყო. მეორე ტაიმში კი, ვფიქრობ, უკეთესი ფიზიკური მზადყოფნის წყალობით ვძლიეთ მეტოქეს. ჩვენი ეს უკეთესი მზადყოფნა ალბათ იმანაც განაპირობა, რომ სამტრედიელებმა რამდენიმე დღის წინ დიდი ძალები შეალიეს თბილისის „დინამოსთან" ძალზე დაძაბულ შეხვედრას. ამ მატჩამდე ჩვენ ლამის იყო დავლეჭეთ სამტრედიელთა ყველა თამაშის ვიდეოფირი, კონკრეტულად მივუთითე ფეხბურთელებს მეტოქის სუსტ წერტილებზე, ყველაზე მეტად, ცხადია, ზაზა ჯანაშიასა და გოგიჩაიშვილის ნეიტრალიზებაზე გავამახვილე ყურადღება. პირველს დანელია მივუჩინე პერსონალურად, მეორეს — ლალანიძე. ორივემ გაამართლა. რაც შეეხება მიქაბერიძის წინ წაწევას, ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, თავდამსხმელების დეფიციტით გამოწვეული. მიქაბერიძემ, როგორც ხედავთ, გაამართლა. ალბათ მიხვდით, რომ ზემოთნახსენებ ახალწვეულებში უმეტესობა თავდამსხმელი იქნება.

**— თქვენი წალენჯიხური „ფარმ-კლუბიდან" ვერავინ შეიმატეთ?**

— სამწუხაროდ, ერთ ხანს ისე გვიჭირდა, ვერაფრით დავეხმარეთ წალენჯიხელებს, ამიტომაც აზრიც აღარ ჰქონდა ჩვენს ურთიერთობებს. რაც შეეხება „ფარმ-კლუბს", ჩემი დაჟინებული მოთხოვნით და ჩვენი კლუბის პრეზიდენტის ვალერიან გეგიძის ხელშეწყობით შეიქმნა „კოლხეთი-2", რომელიც გაისად მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში იასპარეზებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი პრაქტიკულად მე ვიქნები, ჩემთან ერთად გუნდს უხელმძღვანელებენ რომან ოდიკაძე და ამირან მელიქაა. ამ გუნდში ძირითადად ჩაირიცხებიან 16-17 წლის ბიჭები, რომელთაგან შემდეგ შევსებას მივიღებთ. ჩემი პრინციპი უცვლელია, „კოლხეთი 1913"-ის ბირთვი ფოთელთაგან უნდა შეიკრას, ორი კაცის მოწვევა კი ყოველთვის აუცილებელი იქნება. ჩვენს სტაბილურ გამოსვლას ეროვნულ ჩემპიონატებში სწორედ ადგილობრივ ფეხბურთელთა სიმრავლე უდევს საფუძვლად.

**— თქვენს გუნდს ჯგუფში ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს გაშვებული. თავდამსხმელთა დეფიციტმა დაცვის გაძლიერებაზე, „ფრთხილ ფეხბურთზე" ხომ არ გადაგატანინათ აქცენტი?**

— დაცვაზე მართლაც ბევრს ვმუშაობთ, როდესაც თავდამსხმელების არჩევანიც მექნება, ვერავინ იტყვის, „კოლხეთი" დაცვით ფეხბურთს ამჯობინებსო.

**ვალერიან გეგიძე („კოლხეთი 1913"-ის პრეზიდენტი):** — კლუბის ვიცე-პრეზიდენტ გივი ხომერიკთან, ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბორის ბარამიასთან და სოსო ფილიასთან ერთად შევიმუშავეთ სერიოზული გეგმა, რომელიც ისახავს გუნდის გაძლიერებას, სტადიონის რეკონსტრუქციას, ევროთასებზე გასვლას, გუნდისთვის სარეზერვო მომზადებას. მალე დაიწყება სტადიონის რეკონსტრუქცია. პროექტი შედგენილია ქალაქის მთავარი არქიტექტორის შოთა ყავლაშვილის მიერ. სტადიონი 15 000 კაცს დაიტევს. განახლდება ტრიბუნები, მათ ქვეშ მოეწყობა გასახდელები, ჟურნალისტებს კი ჩინებული პრესლოჟა და სამუშაო პირობები ექნებათ, სტადიონის განათებასაც განვაახლებთ.

რაც შეეხება ევროპელთა დახვედრას: უკვე ჩვენს ბალანსზეა მალთაყვაზე მდებარე სამსართულიანი სასტუმრო, რომელიც 240 კაცზეა გათვალისწინებული. იქვე ახლოს ვაწყობთ საფეხბურთო მინდორს, სადაც „კოლხეთი" ივარჯიშებს. მოკლედ, მალთაყვაზე ჩინებული ბაზის აგებას ვაპირებთ. გვინდა გამოვცეთ საგანგებო ჟურნალი კლუბის წარსულსა და აწმყოზე. იგი რამდენიმე ენაზე გამოვა და ჩვენი სავიზიტო ბარათივით იქნება.

რაც შეეხება მომავალს, არჩეული გვ[illegible] 260 ბავშვი, ათიდან თექვსმეტ წლამ[illegible] ისინი პერიოდულად შეავსებენ გუნდ[illegible] ლე ჩვენი ბავშვთა გუნდები კიოლნ[illegible] რნას [illegible] რში [illegible]

კლუბის ფინანსური უზრუნველყოფისთვის გამოვყავით რამდენიმე „კომეტის" ტიპის კატერი. მათი ექსპლუატაციით შემოსული თანხა მთლიანად გუნდს მოხმარდება.

ახლა კი თავად განსაჯეთ, რა მიზნებით ვართ მოსული გუნდში...

**მამუკა კვარაცხელია**

ფოთი — თბილისი



გიორგი დარასელია

# რა საცოდავი იყო ზოიძე...

## დინამო 4:0 გურია

XXII ტური, 16 აპრილი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ანჩაბაძე (ლ. ყიფიანი ლ. 60), ცქიტიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (დემეტრაძე 73), ქინქლაძე, ყაველაშვილი

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, ბურდული, ქიქავა, ბუცურეიშვილი, ლორია (წილოსანი 46), კვინტრაძე, იმნაძე, პატარაია, გამცემლიძე, ნოდია.

1:0 იაშვილი (27), 2:0 ქინქლაძე (45), 3:0 ყაველაშვილი (81), 4:0 ქინქლაძე (88)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

„დინამომ" რა თქმა უნდა, აკეთა ის, რაც სურდა, „გურია" კი...

ვილას სჭირდება იმის შეხსენება, რომ ამ გუნდიდან მხოლოდ სახელიღაა დარჩენილი. ჰოდა, აკი ისეტყვებოდა კიდეც სტუმართა კარი, დაბნეული და გაოგნებული კუნჭულია თამაშში ბურთის შეყვანას ვერ ასწრებდა, რომ იმავწამს ახალი შეტევის მოსაგერიებლად უნდა გამზადებულიყო.

ტრიბუნები პირველად შესვენებისას მინდორზე საყონგლიოროდ გამოსულმა ოთარ მამასახლისმა გამოაცოცხლა. მეორედ კი ეს ქინქლაძის მიერ 25-27 მეტრიდან შესრულებული საჯარიმოს შემდეგ მოხდა, როცა ბურთი ცხრიანში შესრიალდა. გიორგიმ პირველ ნახევარშიც საჯარიმოთი გაიტანა გოლი. ჯამარაული ზედიზედ მერამდენედ ატყუებდა რამდენიმე მეტოქეს და ბურთიანად სურდა კარში შესვლა. ნამდვილად ვერ მოვიდა თამაშის იმტაზე ყაველაშვილი, მაგრამ მეორე ნახევრის ბოლოს დემეტრაძის პასით მაინც მოუწია ბურთის გატანამ. იაშვილმა კი წესად იქცია, თამაშიდან ისე არ გავიდეს, გოლი არ გაიტანოს. დინამოელთა მეკარე ირაკლი ზოიძე, შეგეცოდებოდათ, ისეთი მოწყენილი იდგა და მხოლოდ ერთხელ ანერვიულდა, როცა მასპინძლებს კვინტრაძე გაეპარათ, მაგრამ ამანაც ისლა მოახერხა, რომ ბურთი ხარიხას გაარტყა.

**მამუკა კვანტალიანი**



მამუკა ბუცურეიშვილი და გიორგი ქინქლაძე

გია ახალაძის ფოტო

## ვეტერანს სიბერე ჩამწარდა...

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიას მერაბ თევზაძისთვის („გურია") და მერაბ მეგრელაძისთვის („ტორპედო") ერთი წლით აუკრძალია ოფიციალურ მატჩებში გამოსვლა. პირველს შინ „კახეთთან" ნათამაშევი მატჩის შემდეგ მსაჯი ასკარ-ოღლი შემოლახვია, მეორეს კი ასევე შინ „კოლხეთთან" თამაშის მიწურულს მატჩის არბიტრისთვის, ლანჩხუთელ ოთარ გუნთაძისთვის ხელი შემოუკრავს. მსაჯების კიდევ ერთ „რისხვას" დავით ცომაიას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის ვადა უკვე გაუვიდა და გუშინწინ „დურუჯთან" ითამაშა კიდეც.

## ჯერ მხოლოდ ვარჯიშობენ...

შესაძლოა მალე თბილისის „დინამოში" კვლავ ვიხილოთ ორი ძველი დინამოელი: გრიგოლ ცაავა და გია ფირცხალავა, რომლებიც გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. კიდევ ერთმა ახალწვეულმა, ლევან ყიფიანმა კი გუშინწინ უკვე ითამაშა ლანჩხუთის „გურიასთან".

# ინტრიგა. 23-ე ტური. 20 აპრილი

წყვილის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია პირველი წრის შედეგი, შემდეგ სტრიქონში — საერთო ბალანსი ჩემპიონატებში: მოგება (შინ), ფრე, წაგება, ბურთები.

### ბათუმი — სამტრედია (2:4)

+5(4) =1(1) -6(0) 14-18(11-4)

ტურის ამ ცენტრალური მატჩის შედეგზე დიდადაა დამოკიდებული, ეყოლება თუ არა საქართველოს ახალი ჩემპიონი, ვინაიდან დარჩენილ შეხვედრებში სამტრედიელთათვის მასპინძლები ყველაზე ძლიერ მეტოქეს წარმოადგენენ და თუ მათ წარმატებით გადალახეს ეს ბარიერი, ალბათ მიზნის მიღწევაც არ გაუჭირდებათ. თუმცა ამის გაკეთება საკმაოდ ძნელი იქნება, რადგან ბათუმელებზე რამდენიმე გამაღიზიანებელმა ფაქტორმა უნდა იმოქმედოს. ჯერ ერთი, მათ ხელს აძლევს თბილისის „დინამოს" ჩემპიონობა, რადგან თასის ნახევარფინალის სტუმრად გამართული პირველი მატჩის ფრედ დასრულებამ თასის ფინალში გასვლის რეალური შანსი გაუჩინა, იქ კი ალბათ „დინამოს" შეხვდებიან და, წაგების შემთხვევაშიც კი, თუ თბილისელები ჩემპიონები გახდებიან, თასების თასზე მოუწევთ ასპარეზობა; მეორე — მათთვის ყველაზე უარესი ვარიანტისთვისაც მზად უნდა იყვნენ და მეოთხე ადგილი მაინც შეინარჩუნონ — შეიძლება, ეს ადგილი ინტერტოტოს გათამაშების მონაწილეს დაეთმოს; მესამე — მოგების შემთხვევაში საერთმანეთო ბალანსს ასწორებენ და პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანშსაც აიღებენ. სტუმრები ბათუმში წარუმატებლად ასპარეზობენ და ჯერ არცერთხელ არ მოუგიათ. ამ გუნდების შეხვედრებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველი გოლის ფაქტორს — 12-დან 11 მატჩში გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელმაც გახსნა ანგარიში, ხოლო ერთი ფრედ დამთავრდა. არ არის გამორიცხული, რომ, ისევე, როგორც პირველ წრეში, ამჟამადაც ბევრი გოლი გავიდეს, რადგან ორივე გუნდში გამოდიან მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირები — მაჭუტაძე, ზაზა ჯანაშია, ჯიშკარიანი. საერთმანეთო თამაშებში კი 3-3 გოლით მაჭუტაძე („ბათუმი") და დავით ჯანაშია („სამტრედია") ლიდერობენ. ამათი მატჩები კორექტულობით ვერ დაიკვეხნის — 1 გაძევება, 11 გაფრთხილება.

### მარგვეთი — დინამო (1:10)

+1(1) =3(3) -6(1) 10-34(6-7)

გუნდების სატურნირო მდგომარეობა ისეთია, ეს შეხვედრაც უშელავათო უნდა გამოდგეს. მასპინძლები პირველი ჯგუფიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატები არიან, სტუმრები კი ჩემპიონობისთვის იბრძვიან და გამარჯვების გარდა არანაირი შედეგი ხელს არ აძლევთ. ამათი პირველი ექვსი შეხვედრა გარკვული კანონზომიერებით ხასიათდებოდა — ზესტაფონში ფრეს თბილისში მასპინძელთა წარმატება მოსდევდა. „წესი" მხოლოდ მეშვიდე მატჩში დაირღვა, როცა ზესტაფონში „მარგვეთმა" პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ გაიმარჯვა. თუმცა იმავე სეზონში „დინამომ" სტუმრადვე შეძლო მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხება, ისევე როგორც მომდევნო ორ შეხვედრაშიც. საერთმანეთო ბომბარდირებიდან — კაჭარავა, შ. არველაძე — 5-5 გოლი, ინალიშვილი — 4 (სამივე „დინამო"), მეგრელაძე („მარგვეთი") — 3, ამჟამად არცერთი არ ირიცხება გუნდში, დღევანდელი შემადგენლობიდან საუკეთესოებმა ქინქლაძემ და იაშვილმა (ორივე „დინამო") კი პირველი წრის მატჩში „ჰეთ-თრიქის" შესრულებით გამოიჩინეს თავი. ამათ შეხვედრებში ფეხბურთელები საკმაოდ არაზუსტად ურტყამდნენ თერთმეტმეტრიანებს — 9-დან მხოლოდ 5 გამოიყენეს (3-ჯერ „მარგვეთმა" ვერ გაიტანა, ერთხელ „დინამომ"). მაშინდელმა მარგველმა მაჭავარიანმა თავისი ახლანდელი „დინამო" „დაინდო" და პენალტი გააფუჭა. ამ წყვილის შეხვედრებზე კორექტულს ვერ იტყვი — 2 გაძევება (თითო-თითო) და 8 გაფრთხილება.

### გურია — კოლხეთი (0:3)

+6(5) =0 -6(1) 14-19(11-6)

პირველი წრის თამაშზე „გურია" არ გამოცხადდა. მეზობლების პაექრობა მუდამ იმდენად უშელავათო და პრინციპული იყო, რომ არცერთი მატჩი ფრედ არ დამთავრებულა, თუმცა ერთხელ, მეოთხე ჩემპიონატში იყო ამის შანსი: ლანჩხუთში თამაშისას, როცა ანგარიში იყო 1:1, ისეთი თავსხმა და სეტყვა წამოვიდა, სტადიონი მთლიანად დაიტბორა და მსაჯი იძულებული გახდა თამაში 48-ე წუთზე შეეწყვიტა, ხელახალ შეხვედრაში კი „გურიამ" გაიმარჯვა. მეხუთე ჩემპიონატამდე, რომელშიც მეტოქეები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, გურიას აშკარა უპირატესობა ჰქონდა — 5 მოგება, 2 წაგება, მაგრამ წინა სეზონში ფოთელებმა სამჯერ შეძლეს მეტოქის დამარცხება (ერთი წააგეს), მინიმუმამდე შეამცირეს ჩამორჩენა, ამ სეზონში კი გურულების ფოთში ვერჩასვლის შემდეგ თანაფარდობაც აღდგა. სტუმრები ლანჩხუთში წარუმატებლად ასპარეზობენ, მათ იქ მხოლოდ ერთადერთი შეხვედრის მოგება შეძლეს, როცა თითქმის დაშლის პირას მდგარმა მასპინძლებმა მხოლოდ 8 ფეხბურთელის გამოყვანა შეძლეს მოედანზე და ფოთელებსაც, ჰოკეის ტერმინი რომ ვიხმაროთ, არ გასჭირვებიათ რიცხობრივი უპირატესობის რეალიზება — 5:2. მათ შეხვედრებში ბომბარდირობით მხოლოდ ფოთელები თუ გამოირჩევიან — ჯუღელი — 5 გოლი, დარასელია, მახარაძე — 3-3, შეხვედრებიც ვერ არის კორექტული — 1 გაძევება, 12 გაფრთხილება.

### შევარდენი — ტორპედო (0:2)

+3(2) =1(1) -6(2) 15-23(11-11)

ამათი შეხვედრების ისტორია, ამინდივით, ერთობ ცვალებადია. პირველ ოთხ მატჩში ქუთათურების გამარჯვებას მომდევნო სამში თბილისელების წარმატება მოჰყვა, ნეიტრალურ მოედანზე ფრედ დამთავრებულ შეხვედრას კი ქუთაისელთა ორმატჩიანი მოგებების სერია. თბილისში „შევარდენის" სტადიონზე გამართულ 4 თამაშში (ერთი მატჩი „შევარდენმა", მასპინძლის როლში, მცხეთაში გამართა) კი სრული თანაფარდობაა: 2-2 მოგება, ბურთების სხვაობა 11-11. გუნდებში ფეხბურთელების ისეთი მიგრაციაა, რომ 38 გოლის გამტანი 23 ფეხბურთელიდან ამჟამად მხოლოდ სამი მოთამაშეღაა დარჩენილი („ტორპედოში"). ბომბარდირთა შორის ლიდერობენ ოთხგოლიანი ხუნდაძე („ტორპედო"), რომელიც ახლაც გუნდშია, და ამჟამად სამარის „კრილია სოვეტოვის" წევრი მინაშვილი — 3. ორივე გუნდის ფეხბურთელებმა მსაჯებისაგან 8 ყვითელი ბარათი (4-4) მიიღეს, ამათგან ერთი ქუთაისელმა მაღლაკელიძემ საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში დაიმსახურა: მსაჯობით უკმაყოფილო თბილისელი ფეხბურთელები პროტესტის ნიშნად მოედანზე თითქმის არ მოძრაობდნენ, რითაც ისარგებლა მაღლაკელიძემ და ცარიელ კარში საჯდომით შეაგორა ბურთი.

### დილა — კახეთი (0:0)

+1(1) =2(1) -2(0) 6-9(5-4)

თუ მასპინძლებს ცხრილის შუაგულში ადგილი დაჯავშნული აქვთ, სტუმრებს ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა მართებთ უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად. თუ არ ჩავთვლით გორელთა ჩაუსვლელობის გამო მათთვის წაგების მიკუთვნებას, საერთმანეთო შეხვედრებში თანაფარდობაა. ამ გუნდების პირველი და ბოლო მატჩები ფრედ დასრულდა, თითოშიც მასპინძლებმა იმარჯვეს. თელაველებს, როგორც წესი, 2-2 გოლი გააქვთ. პირველ შემთხვევაში მათ შეძლეს ორი საპასუხო ბურთის გატანა და ფრეს მიაღწიეს, მეორეშიც მოახერხეს პირველ ტაიმში გაშვებული ორი ბურთის გაქვითვა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე პენალტით მესამეც მიიღეს და დამარცხდნენ. 2-2 გოლი აქვთ გატანილი მინდიაშვილს („დილა"), კალუჟას და ჭვრიტიძეს (ორივე „კახეთი").

### მეტალურგი—საპოვნელა (1:1)

+2(2) =1(0) -2(0) 8-7(6-1)

მასპინძლები, მოგეხსენებათ, ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან, თერჯოლელებს კი თითოეული მარცხი წვალებას ანუ აუტსაიდერთა შორის ყოფნას უხანგრძლივებს, თუმცა მათ ისეთი სახარბიელო კალენდარი აქვთ, ალბათ შერჩებიან პირველ ჯგუფს. ამ შეხვედრის მერე თანაფარდობა საერთმანეთო მატჩებში ალბათ რუსთაველთა სასარგებლოდ დაირღვევა — შინ ისინი თერჯოლელებს აქამდე დამაჯერებლად უგებდნენ. ამათ შეხვედრებში ყველაზე შედეგიანი მასპინძელი გიორგი კილასონიაა 3 გატანილი ბურთით.

### ივერია — სამგურალი (2:2)

+2(1) =1(0) -3(1) 6-11(2-2)

აუტსაიდერთა შორის მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი. ხაშურელებს გამარჯვება თითქმის გაანაღდებინებს ჯგუფში ადგილს, სტუმრებს კი ჯერაც არ დაუკარგავთ ამის თეორიული შანსი. პირველ ორ შეხვედრაში მეტოქეებმა სტუმრად მოგება შეძლეს, მომდევნოებში კი, თუ არ ჩავთვლით ბოლოს, მასპინძლები აღწევდნენ წარმატებას. პირველი წრის ფრედ დამთავრებულ შეხვედრაშიც „სამგურალს" ლამის არაფერი უკლდა გამარჯვებამდე — მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე 2:0 იგებდა, მაგრამ სტუმრებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და მოახერხეს ორი გოლის გატანა. ერთმანეთში 3 გოლით საუკეთესო სნაიპერია მეგრელაძე („სამგურალი"), ხოლო დანარჩენებს თავი არ გამოუჩენიათ.

### ზუგდიდი — დურუჯი (1:2)

+0 =0 -1 1-2

„დურუჯი" ალბათ განწირულია მეორე ჯგუფში დასაბრუნებლად, მასპინძლები კი, მეორე წრეში კარგი თამაშის წყალობით ყოველი ტურის შემდეგ რომ იუმჯობესებენ მდგომარეობას, ალბათ ამ შეხვედრაშიც გაიმარჯვებენ და პირველი წრის მატჩის ბოლო წუთზე გაშვებული პენალტით წაგებისთვის რევანშსაც აიღებენ.

რევაზ შენგელია

გერმანელებთან წაგება, ცხადია, ყველამ თავისებურად განიცადა, მაგრამ ტრიბუნაზე მჯდომი გიორგი ნემსაძის განცდები იმ ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში, ძნელია ვინმესას შეადარო. მოედანზე მყოფ მის თანაგუნდელთაგან ვერვინ შეიძლო წინააღმდეგობა... მბრძოლობა, კაცურად, ანუ უშიშრად და უკომპლექსოდ თამაში. ვინ იცის, ბოლო ხანს შეჩენილი უიღბლობა რომ არა, იქნებ სწორედ გიორგი დაიკისრებდა ამას. იმ დღეს კი, ჰეპატიტს გადარჩენილი და მუხლის ტკივილით გატანჯული ნემსაძე ბოღმას გულში იკლავდა და, როგორც მითხრა, მომავალ ბრძოლებზე ფიქრობდა. გიორგის ფეხბურთი ხუთი თვეა, არ უთამაშია, ორიოდ დღის წინ კი გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც გერმანიის ნაკრების ექიმმა, დოქტორმა ჰესმა მენისკის ოპერაცია გაუკეთა. უყავარჯნოდ და ჩვეული ღიმილით მოარული ნემსაძის ნახვა ერთ რამედ ღირდა...



გიორგი ნემსაძემ ვარჯიში დაიწყო!

# ნემსაძე მათეუსის შემდეგ...

— „დინამოს" დირექტორატის მეცადინეობით 31 მარტს ზაარბრიუკენის მახლობელი პატარა ქალაქის, ზაარ-ლუისის მყუდრო კლინიკაში აღმოვჩნდი. ჩემი გვარი უკვე კომპიუტერში შეეტანათ და მეორე დღესვე ბატონმა ჰესმა პირადად გამიკეთა ოპერაცია, რომელმაც ორ საათს გასტანა. ოპერაციის წინ ჰესმა მითხრა, ვშიშობ, მარტო მენისკი გჭირდეს, ვაითუ, ჯვარედინი მყესებიც გქონდეს დაზიანებული და მაშინ მინიმუმ ექვსი თვე დაგჭირდება აღსადგენადო. ნარკოზიდან ათიოდე წამით რომ ვიფხიზლე, უჩა მალაზონიას წერილი დამხვდა საწოლთან, გილოცავ, მარტო მენისკიაო. გახარებულს მკვდარივით ჩამეძინა.

მეორე დღეს კი უკვე აღდგენით პერიოდს შევუდექი. სპეციალურ ტრენაჟორებზე სამი საათი მტვირთავდნენ ყოველდღე. რომ გაიგებდნენ, ოპერაცია დოქტორმა ჰესმა გამიკეთა, ყველა იმას მეუბნებოდა, აბა, რაღა განერვიულებს, ყველაფერი წესრიგში იქნებაო. ჩემამდე ლოთარ მათეუსისთვის გაუკეთებია აქილევსის მყესზე ოპერაცია...

გერმანიაში მოთამაშე ქართველთაგან ყურადღება არ მაკლდა, თითქმის ყოველდღე ვესაუბრებოდი ტელეფონით რეზო არველაძეს, კახი კაჭარავას, გელა ინალიშვილს. დიმა პაპავამ და მელორ ბიგვავამ, იქვე რომ ცხოვრობენ, რესტორანშიც დამპატიჟეს. ჩვენმა მეგობარმა, „ტენის-ბორუსიას" პრეზიდენტმა შვარცკოფმა კი ნამდვილად გადამრია, მამაჩემი რომ მივლიდა, ისე იქცეოდა ზუსტად: ყოველ დილით ხილითა და ალმდგენი წვენებით სავსე უზარმაზარი პარკით მადგებოდა თავზე და ლამის იყო, თავისი ხელით მაჭმევდა. ჩემს იქ ყოფნაში „ტენის ბორუსიამ" 6:2 მოიგო, ერთი გოლი შეცვლაზე გამოსულმა კახი კაჭარავამ გაიტანა. მეორე მატჩიც მოუგიათ რეზო არველაძის ერთადერთი გოლით.

**— კახი ცხადაძეს ახალ მწვრთნელთანაც უსიამოვნება აქვს?**

— არავითარი უსიამოვნება. კახისთან სახლში რომ ვიყავი, ისეთი გრიპი ჰქონდა, ფეხზე ვერ დგებოდა. ამიტომაც გამოტოვა პირველი მატჩი ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით.

**— 29 მარტის მოგებას როგორ აფასებენ?**

— სხვათა შორის, ამ მატჩის ჩვენთვის უნიკალური კადრები ვნახე. უჩვენეს, როგორ მოძღვრავდა ფოგთსი „მეტეხში", თამაშის წინ თავის ფეხბურთელებს. განსაკუთრებით მიოლერს ეჩიჩინებოდა, ასე და ასე ეთამაშე ქინქლაძესო. ქინქლაძის ნეიტრალიზაციას ფოგთსი თურმე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მიოლერი შავ დღეში ჰყავდა. ფოგთსს თურმე მშვენივრად სცოდნია ყველა ჩვენიანის ავ-კარგი, თავისიანებს წვრილად გაურჩია მეტოქეთა ღირსება-ნაკლოვანებანი. თამაშის მერე ფოგთსი მარტო იმას გაუკვირვებია, ჩვენებმა რომ ერთი ფორვარდით ითამაშეს, ამას არ ველოდიო, უთქვამს. რამდენჯერმე საგანგებოდ უჩვენეს კადრი, როდესაც კუდინოვი ვარდნით ცდილობს აართვას ბურთი მიოლერს, ის კი შეგნებულად დიმას ფეხზე ახტება და წვივსაფარს უტეხავს. მოკლედ, როგორც მივხდი, გერმანელები ამ გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ...

**— შენი მორიდების ამბავი კი ვიცი, მაგრამ მაინც უნდა გკითხო. ნუთუ შენც შიშით ითამაშებდი?**

— ახლა ადვილია ლაპარაკი, მაგრამ თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, ჩემს ცხოვრებაში შიშით არავისთან მითამაშია და...

**— ვარჯიშს როდის იწყებ?**

— უკვე დავიწყე. ნელ-ნელა ვზრდი დატვირთვებს. გერმანელებმა ღვიძლი რომ გამისინჯეს, გაუკვირდათ, ნუთუ თბილისში ასე კარგად მკურნალობენო? მოკლედ, წესრიგში ვარ. მინდორზე როდის გამოვალ, ვერ გეტყვი. ხომ ნახე, წინა ინტერვიუსას როგორ დავითარსე. ხომ იცი, ფეხბურთელები წვრილმანებსაც კი დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ...

მამუკა კვარაცხელია


ვიწვევთ ბანკებს, სამინისტროებს, უწყებებს, ფირმებს, ბიზნესმენებს — იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გასახსნელად და სამუშაოდ კაპიტალურ შენობაში. დაცვა გარანტირებულია.

მისამართი: მ. წინამძღვრიშვილის 133 („დეზერტირის ბაზრის" ქვედა შესასვლელთან).

სახელმწიფო საწარმო „იბერია".

ტელ: 34-10-67

ტურისტული ფირმა

«იმედი»

გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

პოლანდია — გერმანიის გავლით

ბულგარეთი — სოფია, პლოვდივი

ირანი — თეირანი

ეგვიპტე — კაირო, ალექსანდრია

კვიპროსის ნებისმიერ ქალაქში დასასვენებლად და სამუშაოდ.

კანადაში — ენების შესასწავლად კანადის უნივერსიტეტში

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ყაზბეგის 42. ვაჭრობის და მომარაგების სამინისტრო, IV სართული ტელ: 39-36-78, 38-11-14. 39-24-32 — საღამოს.

## იტალია

# ბაჯომ „ჯილიოც“ დააჭაშნიკა

27-ე ტური. 15 აპრილი

კათოლიკური აღდგომის გამო ტურის ყველა მატჩი შაბათს ჩატარდა. ეს გამონაკლისი, რასაკვირველია, ევროთასებზე შემორჩენილ იტალიურ გუნდებს ერთობ ესიამოვნათ, თუმცაკი იმ დღეს გამარჯვება მხოლოდ „იუვენტუსმა“ იზეიმა.

### რეჯანა 1:2 იუვენტუსი

რეჯანა: ანტონიოლი, კერუბინი (59 სიმუტენკოვი), ძანუტა, დე ნაპოლი, გრეგუჩი, ლ. დე აგოსტინი, ბრამბილა, ოლისე, პადოვანო (79 ტარიბელო), ფუტრე, სგარბოსა.

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, ტორიჩელი, კარერა, კოლერი, დეშამი, დი ლივიო, მაროკი (89 იარნი), დელ პიერო, რ. ბაჯო, რავანელი (68 ტაკინარდი).

22 662 მაყურებელი

რობერტო ბაჯოს ისედაც სახელგანთქმული სახელი ამჯერად რეჯო ემილიოს ისტორიაშიც შევა, როგორც ქალაქის ახალ სტადიონ „ჯილიოზე“ ჩატარებული პირველი მატჩის პირველი გოლის ავტორი. სამხრეთელებს ძველი, 16 ათასიანი „მირაბელო“ აღარ აკმაყოფილებდათ, თუმცა „ჯილიო“ ისედაც მცირერიცხოვან მაყურებელს „სერია B“-ს მატჩებზე რომ უმასპინძლებს, ფაქტია. ეს „რეჯანას“ მესვეურებმაც იციან და სტადიონის გახსნა ცნობილ კლუბთან, თან ჩემპიონი რომ ხდება, მატჩს დაამთხვიეს. ბაჯოსაც მხოლოდ 6 წუთი დასჭირდა თავის გამოჩენისთვის — დელ პიეროს დარტყმული ანტონიოლიმ მოიგერია, ბურთი ოციოდ მეტრზე გადმოვარდა და აქედან „იუვეს“ კაპიტანმა შეუჩერებლად ცხრიანში ჩააჭედა.

დორტმუნდთან დღევანდელ მატჩისთვის მეტოქის დარად „იუვენტუსიც“ შესუსტებული შემადგენლობით ემზადება. გერმანელებთან პირველ მატჩში დაშავებულ ვიალის შუა კვირაში თასზე „ლაციოსთან“ ტრავმირებული მეკარე პერუცი შეუერთდა. მისი ადგილი „რეჯანასთან“ დაიკავა 32 წლის მიქელანჯელო რამპულამ, ვინც მესამე სეზონია „იუვეში“ ირიცხება და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა. 26-ე წუთზე სწორედ რამპულამ მოცელა მასთან პირისპირ გასული პადოვანო და ამანაც ახალ სტადიონზე მშობლიური გუნდის გოლებს პენალტით დაუდო სათავე. მალე პადოვანო კიდევ ერთხელ წააქციეს, ამჯერად დეშამმა, მაგრამ მსაჯმა მეორე თერთმეტმეტრიანის დანიშვნა ვეღარ გარისკა. მეორე ტაიმის დასაწყისში, 47-ე წუთზე კი სტუმრებმა მორიგი გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანეს, თუმცა კი ამის უმთავრესი მიზეზი მასპინძელთა მცველების წამიერი გამოშტერება იყო. ბაჯომ მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი, რომელიც „რეჯანას“ მცველებმა კერუბინიმ და გრეგუჩიმ გაატარეს, ანტონიოლი კი ამათ იმედზე იყო და... მოკლედ, ბურთი კარში გავიდა. დარჩენილ დროში ბაჯომ და რავანელიმ თითოჯერ ძელი შეანჯღრიეს და მიღწეულით დაკმაყოფილდნენ.

„იუვენტუსისა“ და „ბორუსიას“ საპასუხო მატჩი დღეს დორტმუნდში თბილისის დროით ღამის თორმეტის ნახევარზე იწყება. იმსაჯებს ჰოლანდიელი მარიო ვან დერ ენდე. თამაშს გადმოსცემს იტალიის სატელევიზიო არხი **RAIUNO**.

### ფიორენტინა 4:0 ნაპოლი

ფიორენტინა: ტოლდო (74 სკალაბრელი), კარნაშალი, ლუპი, კოისი, მარსიუ სანტუში, სოტილი, ა. კარბონე, ამორინი, (68 ტედესკო), ბატისტუტა, რუი კოშტა (86 ფლაკი), ბაიანო.

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი, განავარო, კრუსი, ბუზო, რინკონი, აგოსტინი, (80 მატრეკანო), ბ. კარბონე, პეკია.

„ფიორენტინამ“ ამ სეზონში პირდაპირ გაათახსირა „ნაპოლი“ და პირველ წრეში სტუმრად5:2 მოგების შემდეგ შაბათს შინაც დიდი ანგარიშით, ამჯერად 4:0 გაიმარჯვა. პირველი დარტყმა ნეაპოლელებს 21 წლის ანდრეა სოტილმა მიაყენა — მე-16 წუთზე მისი თაური ტალიალატელამ მოიგერია, მაგრამ პირველმა ისევ სოტილმა იმარჯვა და ახლა უკვე ფეხით ანგარიში გახსნა. პირველ ტაიმში ფლორენციელებმა ეს იკმარეს, მეორის მეორე წუთზე კი მარსიუ სანტუშმა დაამტკიცა, რომ თაურით მარტო საკუთარ კარში როდი იტანს და რუი კოშტას კუთხური გამოიყენა. რვა წუთში ბატისტუტამაც შეაგდო თავისი ბურთი, მერე კი, როცა მსაჯმა „ნაპოლის“ მცველი პარი ბაიანოს წაქცევისთვის გააძევა და სტუმრები ათნი დარჩნენ, ექსტორინოელმა 22 წლის სანდრო კოისმა იყოჩაღა და 72-ე წუთზე ბაიანოს პასით მეოთხე გოლი გაიტანა.

### რომა 3:0 ბრეშია

რომა: ჩერვონე, ალდაირი (81 ე. ანონი), ლანა, სტატუტო, პეტრუცი, პიაჩენტინი, მორიერო, კაპიოლი (72 კარბონი), ბალბო, ჯანინი, ტოტი.

ბრეშია: გამბერინი, ადანი, მეცანოტი, პიოვანელი, ბარონკელი, ბონომეტი, სკენარდი (65 ბერნარდი), მარანგონი (60 კორინი), ნერი, ჯუნტა, გალო.

47 952 მაყურებელი

ბატისტუტას არც ბალბო ჩამორჩა, თუმცა გაბრიელისგან განსხვავებით აბელმა არადამსახურებული პენალტით მიაღწია საწადელს — 78-ე წუთზე მცველთაგან ჭიდილში არგენტინელი დაეცა და მსაჯმაც ბალბოს თერთმეტმეტრიანი დაარტყმევინა. ანგარიში კი მე-5 წუთზე 18 წლის ფრანჩესკო ტოტიმ გახსნა, თორმეტ წუთში კი პიაჩენტინის პასი კარგად გამოიყენა მასიმილიანო კაპიოლიმ.

### ტორინო 0:0 სამპდორია

ტორინო: პასტინე, ანგლომა, პასოტო, ფალკონე, პელეგრინი (49 ლორენცინი), მალტალიატი, რიციტელი, ბერნარდინი, სილენცი, პელე, კრისტალინი.

სამპდორია: ძენგა, მანინი, ფერი (75 მ. როსი), სერენა, ვერხოვოდი, მიხაილოვიჩი, სალსანო (17 ინვერციჩი), იუგოვიჩი, პლატი, მანჩინი, მასპერო.

19 942 მაყურებელი.

„საარსენალო“ რეპეტიცია გენუელებს არ გამოუვიდათ — ლონდონელებს თავად უნდა შეუტიონ, აქ კი „ტორინო“ მძლავრობდა და პელეს, რიციტელისა და სილენცის რომ ბოლო მომენტებში ოდნავ უკეთ ეთამაშათ, ძენგა მშრალად ვერ გამოვიდოდა. აღსანიშნავია მატჩის ერთი ეპიზოდი, როცა მსაჯმა ვერ დაინახა, თუ სხეულის რა ნაწილით მისცა ბურთი მასპინძელთა მცველმა საკუთარ მეკარეს და ისინი თავისუფალი დარტყმით დასაჯა, მაგრამ მერე გვერდითს დაეკითხა, გუნდებს ბოდიში მოუხადა და სადაო ჩააგდო.

### კრემონეზე 0:0 ბარი

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, მილანეზე, პედრონი, დალ ინია, ვერდელი, ჯანდებიაჯი, ს. დე აგოსტინი (46 ტენტონი), კიეზა, ნიკოლინი, ფლორიანჩიჩი (67 ა. პირი).

ბარი: ფონტანა, მონტანარი, პ. აპონი, ბიჯიკა, ამორუსო, რიჩი, ალესიო (69 გაუტიერი), პედონე, პროტი, მანიგეტი (81 ყერსონი), გერერო.

7 264 მაყურებელი

მასპინძლებს ხუთი-ექვსი რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს, ბოლოს კი „ბარის“ კოლუმბიელმა მიგელ გერერომ „კრემონეზეს“ კინაღამ ფრეც სანატრელი გაუხადა.

### ინტერი 3:1 მილანი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, მ. პაგანინი, სენო (66 მ. კონტე), ფესტა, ბია, ბიანკი (78 სოსა), იონკი, დელვეკიო, ბერხკამპი, ბერტი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, ფ. გალი, კოსტაკურტა (74 სტროპა), ერანიო, დონადონი, ბობანი, სავიჩევიჩი, ლენტინი (54 მასარო)

60 000 მაყურებელი

12 თებერვლის მერე „ინტერს“ არ წაუგია და მილანური დერბიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა. წინა ტურში გაძევებული ბარეზის გარეშე სტუმართა დაცვას სამი ბზარი გაუჩნდა: განსაკუთრებით ლამაზი მესამე გოლი იყო — 86-ე წუთზე ნიკოლა ბერტიმ შორეული ულამაზესი დარტყმით ბურთი ძელს გაარტყა, იქიდან როსის თავს და გოლიც გავიდა, რომელიც იტალიური წესით მილანის მეკარეს ავტოგოლად ჩაეთვალა.

თავიდან ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტი უფრო მძლავრობდა. მარტო ის რად კმარა, რომ პალიუკას სამჯერ (!) ძელი დაეხმარა — პანუჩის, ერანიოს და სავიჩევიჩის დარტყმების შემდეგ. პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი იონკის ჩაწოდებული კუთხური ანდრეა სენომ გამოიყენა — 1:0. 69-ე წუთზე გოლი თავად იონკმა შეაგდო. ბერტის გოლამდე ერანიოს პასით ამ მომენტამდე 9 წუთით ადრე შესულმა სტროპამ ერთი ბურთი გაქვითა.

### ფოჯა 0:0 პარმა

ფოჯა: ფ. მანჩინი, ბადალინო, ბიანკინი, ნიკოლი, დი ბიაჯო, ბრეშიანი, ბრესანი, კაპელინი, დე ვინჩენცო, მანდელი.

პარმა: ბუჩი, ბენარივო, დი კიარა (37 მუსი), მინოტი, კასტელინი, სუსიჩი, ბრანკა, დ. ბაჯო (58 კარუზო), კრიპა, ფიორე, ასპრილია.

11 816 მაყურებელი

პირველ ტაიმში „პარმა“ კიდევ აქტიურობდა და ასპრილიას ორი საგოლე შეტევის უფრო ხეირიანად დამთავრებაც შეეძლო, შესვენების შემდეგ კი ნათლად გამოჩნდა, რომ შვიდ დღეში სამი მატჩის ჩატარება „პარმასაც“ კი უჭირს, მითუმეტეს, რომ პირველივე ტაიმში ტრავმა მიიღო დი კიარამ და იგი საკაცით გაიტანეს. „ფოჯამაც“ დრო იხელთა: კაპელინიმ ძელს გაარტყა, ბრეშიანიმ კი გოლი გაიტანა და იმდენად გაუხარდა, მაისური გაიძრო, თუმცა სანამ 24 წლის პიერპაოლო ტიტველი დარბოდა, მთავარმა მსაჯმა გვერდითთან ითათბირა და ჩათვლილი გოლი გააუქმა.



ნიკოლა ბერტის („ინტერი“) ულამაზესი გოლი რატომღაც „მილანის“ მეკარე როსის ჩაუწერეს

დღეს „პარმა“ უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩს ლევერკუზენის „ბაიერთან“ ჩვენი დროით ათის ნახევარზე დაიწყებს. იმსაჯებს ბელგიელი გი გუტალსი. მატჩს **RAIDUE** გადასცემს.

### ჯენოა 1:1 კალიარი

ჯენოა: მიკილო, მ. როსი (67 მიურა), გალანტე, კარიკოლა, სინიორინი, ფრანჩესკონი, რუოტოლო, ბორტოლაცი, ვანტ სხიპი, სკუპრავი, მარკოლინი.

კალიარი: ფიორი, ვილა, პუშედუ, ერერა, ნაპოლი, ფირიკანო, სანა, ბერეტა, ვალდესი, ოლივეირა, მუცი (80 პანკარო).

19 335 მაყურებელი

სტუმართა მეორევე რიგიანი შეტევა 63-ე წუთზე დელი ვალდესმა გოლით დაამთავრა. 12 წუთში ჩეხმა სკუპრავიმ მოახერხა ფიორის მოტყუება, რაც ვერც მანამდე და ვერც ამის შემდეგ შეძლო. რუოტოლოსა და იაპონელ მიურასაც გაუცუდდათ დარტყმები.

### პადოვა 2:0 ლაციო

პადოვა: ბონაიუტი, ბალერი, გაბრიელი, ფრანჩესკეტი, კუიჩი, ლალასი, კრეეკი, ნუნციატა, გალდერიზი (71 ვლაოვიჩი), ლონჯი (55 კოპოლა), მანიერო.

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, შამოტი, დი მატეო, ბონომი, კრავერო, ფუზერი (82 ბაჩი), ვინტერი, კაზირაგი, გესქოინი, რამბაუდი.

13 654 მაყურებელი.

უპირატესობას „ლაციო“ ფლობდა, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი ბონაიუტის კართან არ შექმნილა. მასპინძლებმა ორივე ტაიმის ბოლო წუთზე გაიხარეს: ჯერ ფრანჩესკეტის დარტყმა მოხვდა კრაველოს და მარკეჯანის კარში გავიდა, მერე კი ჰოლანდიელმა კრეეკმა კვლავ გვიჩვენა შეუჩერებლად დარტყმის ოსტატობა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 27 | 19 | 4 | 4 | 44-23 | 61 |
| პარმა | 27 | 14 | 8 | 5 | 42-25 | 50 |
| რომა | 27 | 13 | 9 | 5 | 34-18 | 48 |
| მილანი | 27 | 12 | 9 | 6 | 38-28 | 45 |
| ლაციო | 27 | 13 | 5 | 9 | 57-33 | 44 |
| ინტერი | 27 | 12 | 8 | 7 | 30-21 | 44 |
| ფიორენტინა | 27 | 11 | 10 | 6 | 50-39 | 43 |
| ტორინო | 27 | 11 | 7 | 9 | 33-31 | 40 |
| სამპდორია | 27 | 10 | 9 | 8 | 40-28 | 39 |
| კალიარი | 27 | 10 | 9 | 8 | 31-30 | 39 |
| ნაპოლი | 27 | 8 | 11 | 8 | 31-39 | 35 |
| ბარი | 27 | 9 | 6 | 12 | 28-35 | 33 |
| პადოვა | 27 | 10 | 2 | 15 | 31-50 | 32 |
| ფოჯა | 27 | 7 | 8 | 12 | 26-37 | 29 |
| ჯენოა | 27 | 7 | 8 | 12 | 26-39 | 29 |
| კრემონეზე | 27 | 7 | 6 | 14 | 21-29 | 27 |
| რეჯანა | 27 | 3 | 5 | 19 | 18-38 | 14 |
| ბრეშია | 27 | 2 | 6 | 19 | 14-51 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 21
აბელ ბალბო (რომა) — 17
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 15
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 15
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 14
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 13
მარკო სიმონე (მილანი) — 13
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 12

„სერია B“. ლიდერთა მდგომარეობა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 30 | 16 | 13 | 1 | 49-18 | 61 |
| უდინეზე | 30 | 13 | 12 | 5 | 47-30 | 51 |
| სალერნიტანია | 30 | 14 | 8 | 8 | 45-33 | 50 |
| ვიჩენცა | 30 | 11 | 15 | 4 | 29-17 | 48 |
| ანკონა | 30 | 13 | 9 | 8 | 43-37 | 48 |
| ატალანტა | 30 | 11 | 13 | 6 | 34-31 | 46 |
| პერუჯა | 30 | 10 | 14 | 6 | 33-24 | 44 |
| ჩეზენა | 30 | 10 | 13 | 7 | 34-28 | 43 |
| ვერონა | 30 | 9 | 14 | 7 | 32-28 | 41 |
| პალერმო | 30 | 9 | 11 | 10 | 27-21 | 38 |

## ინგლისი

პირველობა. 13 აპრილი: **ვესტ ჰემი — უიმბლდონი 3:0.** 14 აპრილი: **მანჩესტერ სიტი — ლივერპული 2:1; კრისტალ პალასი — ტოტენჰემი 1:1; ევერტონი — ნიუკასლი 2:0.** 15 აპრილი: **არსენალი — იფსვიჩი 4:1; ჩელსი — ასტონ ვილა 1:0; ქოვენთრი — შეფილდ უენსდეი 2:0; ლიდსი — ბლექბერნი 1:1; ლესტერი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:4; საუთჰემპტონი — ქუინზ პარკი 2:1**

# ვისაც სჭირდებოდა, კიდეც გაიმარჯვა

ინგლისში ბოლო ხანებში ტრადიციად შემოიღეს, რომ საშობაო ან სააღდგომო უქმეებზე ერთბაშად ერთი-ორი ტური გამართონ, რის გამოც წუხანდელი ტურის ამბავს შემდეგ „სარბიელში“ თუ გაუწყებთ.

სადღესასწაულო პროგრამა იმით დაიწყო, რომ ერთმა ლონდონურმა კლუბმა — „ვესტ ჰემმა“, რომელიც ვარდებოდა, დაამარცხა თანაქალაქელი „უიმბლდონი“, რომელიც უკვე სამშვიდობოს გასულიყო. ამით „ლესტერი“ გავარდა.

ერთი დღის შემდეგ დამტკიცდა „იფსვიჩის“ გავარდნაც: თასის ფინალისტმა „ევერტონმა“ ისევ და ისევ ნიგერიელი დანიელ ამოკაშის ორი გოლით (ორივე შევდი ანდერს ლიმპარის გადაცემებით გავიდა) შინ, „გუდისონ პარკზე“ დაამარცხა უეფას თასზე გასვლის უეჭველი კანდიდატი „ნიუკასლი“ და „იფსვიჩს“ პირველობაზე დარჩენის თეორიული შანსებიც გადაუწურა. წაგებულებს ორი ყვითელი ბარათისათვის რობერტ ლიი გაუძევს 78-ე წუთზე.

პარასკევსვე ერთი ლონდონური დერბიც გაიმართა. „კრისტალ პალასს“ პირდაპირ დახატავდა სამი ქულა. ქრის არმსტრონგის მიერ 41-ე წუთზე გატანილი გოლით კიდეც ახლო იყო მიზანთან, მაგრამ 87-ე წუთზე იურგენ კლინსმანმა საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა. ეს ამ სეზონში მისთვის 27-ე გოლი იყო. მიუხედავად ამისა, გერმანელ ფორვარდს განუცხადებია, რომ მოელაპარაკება „სპურზის“ მეპატრონე ალან შუგარს, მერე კი ალბათ ან ესპანეთისკენ გაუტევს, ან იტალიისკენ, ანაც მიუნხენის „ბაიერნში“ გადავა.

კიდევ ერთმა გერმანელმა — მაურიციო გაუდინიომ გაიტანა იმ დღეს გადამწყვეტი გოლი. როცა ანგარიში საყაიმო იყო, მისმა გოლმა „მანჩესტერ სიტის“ გაამარჯვებინა და პირველობაზე დარჩენის შანსები გაუუმჯობესა.

საერთოდაც, ამ ტურში მოხდა ისე, რომ ვისაც დარჩენის შანსი კიდევ ჰქონდა, თამაში მოიგო. რვა მატჩიდან შვიდი ასეთი გუნდების გამარჯვებით დასრულდა, რაც, ცოტა არ იყოს, ეჭვსა ბადებს, ემანდ პირველობის ფინიშზე აღებ-მიცემობა ხომ არ გაჩაღებულაო.

„ვესტ ჰემის“, „ევერტონისა“ და „მანჩესტერ სიტის“ გარდა 3-3 ქულა მიითვალეს „არსენალმა“, „ქოვენთრიმ“, „საუთჰემპტონმა“ და „ჩელსიმ“. ამ უკანასკნელს მარკ სტეინის მიერ 41-ე წუთზე გატანილმა გოლმა მოაგებინა გავარდნის კიდევ ერთ კანდიდატ „ასტონ ვილასთან“. მერე სტუმრები უტევდნენ, მაგრამ დინ სონდერსის სახიფათო იერიშები მოიგერია ლონდონელთა რუსმა მეკარე დმიტრი ხარინმა.

„საუთჰემპტონმა“ ბოლო ხუთ თამაშში მეოთხედ გაიმარჯვა. მეთიუ ლეტიზიე ამჯერად ყოჩაღად ვერ იყო, მისმა თანაგუნდელებმა კი ბოლომდე იბრძოლეს. ნილ შიფლიმ 49-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მერე „ქუინზპარკელმა“ ლეზ ფერდინანდმა სეზონის 22-ე გოლით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ გორდონ უოტსონმა ლონდონელთა მეკარე რობერტსის შეცდომით მარჯვედ ისარგებლა და უმალ ისევ დააწინაურა თავისიანები.

„ქოვენთრიმ“ პირველად ათამაშა 39 წლის შოტლანდიელი ვეტერანი გორდონ სთრაქანი, ვინაც ლუდის სმის მაგივრად თურმე ბანანებს ეტანება და სპორტულ ფორმასაც ინარჩუნებს. არანაკლებ ისახელა თავი „კოვენტრის“ 37 წლის მეკარე სტივ ოგრიზოვიჩმა, გოლები კი დაბლინმა და ლაფლინმა გაიტანეს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდსელმა ბრაიან დინმა ლიდერს ორი ქულა დააკარგვინა

„არსენალმა“ ერთობ დაიბრიყვა „იფსვიჩი“, ვისაც რვა ტური იყო, ბურთი ვერ გაეტანა. ანგარიში 34-ე წუთზე გახსნა პოლ მერსონმა, შესვენების შემდეგ კი 9 წუთის განმავლობაში (47-56) იან რაითმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. არადა, ამ ბომბარდირს იანვრის შემდეგ გოლები ვერ გაჰქონდა. 65-ე წუთზე მარშალმა „იფსვიჩის“ ნავსი გატეხა.

შარშანდელმა ჩემპიონმა და წლევანდელი ლიდერის მდევარმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ფილბერტ სტრიტზე“ პანაშვიდი გადაუხადა „ლესტერს“. გოლები ლი შარფის, ენდი კოულის (2) და პოლ ინსის ანგარიშზეა.

ლიდერი „ბლექბერნი“ „ელანდ როუდზე“ ეწვია „ლიდსს“. ბლექბერნელმა შერვუდმა მოედნის შუაწელში დაჩაგრა ლიდსელი მაკალისტერი. თამაში დაძაბული, მაგრამ ულიმღამო გამოვიდა. ორივე გოლი კუთხურის მერე გავიდა. 43-ე წუთზე რიკლის მოწოდებული შეაგდო კოლინ ჰენდრიმ. „ბლექბერნი“ ყოველმხრივ იმსახურებდა მოგებას, მაგრამ თამაშისთვის წამატებულ დროში ბრაიან დინმა ლიდერს ორი უძვირფასესი ქულა დააკარგვინა. ამის შედეგად პირველობის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე „ბლექბერნი“ 8-ის ნაცვლად მხოლოდ 6 ქულითღა უსწრებდა „მანჩესტერს“.

რაც შეეხებათ გავარდნის კანდიდატებს, ბოლოდან მესამე და მეოთხე ადგილებზე დარჩენა ჯერაც 11 გუნდს ემუქრება.

**დავით მჭედლიშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 37 | 25 | 8 | 4 | 74-31 | 83 |
| მანჩესტერ იუნ. | 37 | 23 | 8 | 6 | 70-24 | 77 |
| ნოტინგემი | 38 | 19 | 10 | 9 | 65-40 | 67 |
| ნიუკასლი | 37 | 19 | 10 | 8 | 60-39 | 67 |
| ლივერპული | 36 | 18 | 10 | 8 | 59-30 | 64 |
| ლიდსი | 37 | 16 | 12 | 9 | 50-34 | 60 |
| ტოტენჰემი | 36 | 15 | 11 | 10 | 58-48 | 56 |
| ქუინზ პარკი | 37 | 15 | 8 | 14 | 56-54 | 53 |
| უიმბლდონი | 37 | 15 | 7 | 15 | 46-61 | 52 |
| არსენალი | 38 | 12 | 10 | 16 | 46-46 | 46 |
| შეფილდ უენ. | 38 | 12 | 10 | 16 | 45-55 | 46 |
| ქოვენთრი | 37 | 11 | 13 | 13 | 39-54 | 46 |
| საუთჰემპტონი | 36 | 10 | 15 | 11 | 53-58 | 45 |
| ჩელსი | 37 | 11 | 12 | 14 | 43-50 | 45 |
| მანჩესტერ სიტი | 37 | 11 | 11 | 15 | 47-57 | 44 |
| ასტონ ვილა | 37 | 10 | 13 | 14 | 47-49 | 43 |
| ევერტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 40-48 | 42 |
| ნორვიჩი | 38 | 10 | 12 | 16 | 34-48 | 42 |
| ვესტ ჰემი | 36 | 11 | 8 | 17 | 37-45 | 41 |
| კრისტ.პალასი | 35 | 9 | 12 | 14 | 26-36 | 39 |
| ლესტერი | 38 | 5 | 9 | 24 | 40-75 | 24 |
| იფსვიჩი | 37 | 6 | 5 | 26 | 32-85 | 23 |

# გერმანია

XXVI ტური. 13 აპრილი. **ურდინგენი — ლევერკუზენი 0:1, ჰამბურგი — ფრაიბურგი 1:2, დორტმუნდი — კარლსრუე 2:1.** 15 აპრილი. **კიოლნი — ვერდერი 1:1, კაიზერსლაუტერნი — დინამო 3:1, აინტრახტი — ბაიერნი 2:5, შტუტგარტი — შალკე 1:1, დუისბურგი — მიონხენგლადბახი 0:2.** 16 აპრილი. **მიუნხენ 1860 — ბოხუმი 4:0**

## მსაჯებს დორტმუნდი ჰყვარებიათ

ფიფას შარშანდელი გადაწყვეტილებით მსაჯებს ფორმის ტრადიციული ფერი რომ არ გამოეცვალათ, ამ წერილს სათაურად „შავი კაცის შავი საქმე" უფრო მოუხდებოდა. სწორედ, მსაჯებმა, ახლა მწვანედ შემოსილებმა, ყველაფერი იღონეს, დორტმუნდის „ბორუსია" კვლავ ერთპიროვნულად რომ დაწინაურებულიყო.

დღევანდელი უეფას მატჩის გამო ხუთშაბათს დაგეგმილ ორ შეხვედრას დორტმუნდელთა საშინაო შეხვედრაც მიამატეს. სწორედ აქ მოხდა შემთხვევა, რომელიც, ლამის იყო, ბუნდესტაგის სამსჯელო გახდა. არადა, სხვა ქვეყანაში ასეთ ამბავს უცბად დაივიწყებდნენ, გერმანიაში კი... „კარლსრუე" 39-ე წუთზე დაწინაურდა გიუნტერ მეცის გოლით, მეორე ტაიმში კი იმავე მეცის ჩაწოდებული ბურთი კირიაკოვმა ცარიელ კარში ვერ გაიტანა. მიმდინარეობდა 75-ე წუთი, როცა ანდრეას მიოლერი საჯარიმო შევიდა და... წაიქცა — უახლოესი მცველი მისგან ნახევარ მეტრში იმყოფებოდა. მსაჯი წამოეგო ანკესს და პენალტი დანიშნა. ამაოდ ჩხუბობდა სტუმართა მწვრთნელი ვინფრიდ შეფერი, ამაოდ ანამუსებდა „კარლსრუეს" მცველი მიოლერს — როგორ არა გრცხვენიაო... ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ ნამუსზე მთლად ხელი აიღო და ნაჩუქარ-გამოტყუებული პენალტი ტკბილად შეირგო. ცორკმა ზუსტად დაარტყა. ამ ეპიზოდმა მათიას ზამერის მიერ ცხრა წუთში გატანილი ბრწყინვალე შორეული გოლი დაჩრდილა, მსაჯი კი მატჩის ბოლომდე მართალ კაცად თვლიდა თავს და კიდევ ერთი პენალტი, ამჯერად უკვე ნამდვილი, მიუსაჯა სტუმრებს, მაგრამ იმ დღეს დორტმუნდის სტადიონზე სამართალი მშიერი დარჩა — უსამართლო პენალტი გაიღო. ნამდვილი კი — არა. საბოლოოდ, 2:1. იმავე დღეს ლევერკუზენის „ბაიერმა" ურდინგენელი თანაკლუბელები დაამარცხა მე-19 წუთზე ფიოლერის გატანილი პენალტით, რომელიც ბრაზილიელი პაულუ სერჟიოს წაქცევისთვის დაინიშნა. ასევე სტუმრებმა იმარჯვეს ჰამბურგში: „ფრაიბურგის" კაპიტნის უკვე შპისის ორ გოლს (34, 84) მასპინძლებმა ბულგარელი ლეჩკოვის ერთით (43) უპასუხეს.

...ხუთშაბათს საღამოს გერმანიის სატელევიზიო არხები მიოლერის საქციელს არჩევდნენ. **SAT1**-ის სტუდიაში საგანგებოდ შეკრებილი საზოგადოება ვიდეოფირის მრავალგზის ჩვენებამ დაარწმუნა, რომ მიოლერი, მეტი რომ არ ვთქვათ, კაცურად არ მოქცეულა. ბოლოს სტუდიის ერთ-ერთ ეკრანზე დამნაშავეც გამოჩნდა: ჟურნალისტს, წამაქციეს, აბა რაო, უმტკიცებდა. შეკრებილთ სიცილი წასკდათ... „შემთხვევა დორტმუნდში" დღემდე გერმანული პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრშია. „ეროვნული ნაკრების წევრმა ასეთი რამ არ უნდა იკადროსო" — განაცხადა შეფერმა, თავად მიოლერი კი შაბათისთვის უკვე სხვაგვარად აჭიკჭიკდა და **SAT1**-ის იმავე ჟურნალისტთან საუბარში ყველაფერი ემოციებს გადააბრალა.

...დორტმუნდის მატჩის არბიტრს შაბათს არც კიოლნის შეხვედრის მსაჯი ჩამორჩა და ესეც ძალიან გაისარჯა, რათა დაუმსახურებლად დაწინაურებულ „ბორუსიას" „ვერდერი" ვერ დასწეოდა. ძნელი დასაჯერებელია, მსაჯებს პირი შეეკრათ, ცხადია, კონკრეტული შეცდომები დაერთო ერთმანეთს, თუმცა „ვერდერს" ამ დანაკლისს ველარავინ აუნაზღაურებს. 68-ე წუთამდე კიოლნში 0:0 იყო, თუმცაკი სტუმრებს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ — ბოდემ ძელს გაარტყა, ერთ მომენტში კი მასპინძელთა მცველმა ხელით ითამაშა, მაგრამ მსაჯმა დუმილი არჩია. 68-ე წუთზე კი ვეტერანმა ნოიბარტმა ანგარიში გახსნა. „ვერდერი" არ მოეშვა და კვლავაც უტევდა. ერთხელ ბურთი ისევ ძელს მოხვდა, ამჯერად ჰობშის დარტყმის შემდეგ, მერე კი მეკარესთან პირისპირ გასული იგივე ჰობში მცველმა ძირს დასცა, მაგრამ მსაჯი კვლავ დაბრმავდა და დამუნჯდა. თამაში ერთობ დაიძაბა, არადა, წყნარი არც მანამდე ეთქმოდა: პირველ ტაიმში ჯერ პოლსტერმა და რეკმა იჩხუბეს, მერე კი „კიოლნის" ავსტრიელმა ფორვარდმა ისე უხეშად ითამაშა „ვერდერის" ეგვიპტელი მცველის ჰანი რამზის წინააღმდეგ, რომ მოედანზე ოტო რეჰაგელიც კი შემოვარდა და თავისსავე ფეხბურთელებს რომ არ გაეკავებინათ, ალბათ პოლსტერს კიკინას დაგლეჯდა. ამ მომენტშიც მსაჯმა მასპინძლები დაინდო და პოლსტერს ყვითელი ბარათი აკმარა. „კიოლნმა" საწადელს ბოლო წუთზე, ბოლო შეტევისას მიაღწია: მცველმა ალფონს ჰიგლმა ზუსტად დაარტყა. ამ დროს საჯარიმოში მასპინძელთა მეკარე ილგნერიც იმყოფებოდა...

ჩემპიონმა „ბაიერნმა", ამ სეზონში პირველად, თამაშში სამზე მეტი გოლი გაიტანა, თუმცა ჩვენი მკითხველი ნუ შეშფოთდება — ცხადაძეს არცერთ მათგანში ბრალი არ მიუძღვის, ვინაიდან მას კვლავ არ უთამაშია — კახიმ თავისი უქეიფობით სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს მოსახლეობის გრიპშეყრილ ნაწილს. იმედია, 26 აპრილისთვის ჩვენი ნაკრების კაპიტანი ჩვეულ ფორმაში იქნება. რაც შეეხება „ბაიერნთან" მატჩს, მასზე მრავლად შეკრებილ მაყურებელს სალაღობო ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე ელოდა — „აინტრახტის" ნიგერიელ ნახევარმცველ აუგუსტინ ოკოჩას თმები... ყვითლად შეეღება და ალბათ ამიტომაც იყო, დასაწყისში სტუმართა დაცვა ერთიანად რომ დაზაფრა. „ქერა ზანგმა" მე-14 წუთზე ჩინებული დარტყმით გაქვითა ანგარიში, რომელიც მეექვსე წუთზე შუპმა გახსნა. პირველი ტაიმის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როცა ოკოჩამ კვლავ ივაჟკაცა, 21 წლის თომას რაისს კარგი პასი მიაწოდა და ამანაც სვენ შოიერს ბუნდესლიგაში თავისი მეორე გოლი გაუტანა, თუმცა „აინტრახტმა" შესვენებამდეც ვერ შეინარჩუნა მომგებიანი ანგარიში: 44-ე წუთზე ვიტეჩეკმა წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმის დასაწყისშივე ჩინებულად მოთამაშე მეჰმეთ შოლის პასით ციგემ კვლავ დააწინაურა სტუმრები, რომლებმაც მატჩის მიწურულს კიდევ ორი გოლი შეაგდეს — ჯერ ფრაიმ (80), მერე ისევ ციგემ (83). გამანადგურებელი ანგარიშით მოგების მიუხედავად, „ბაიერნი" მაინც მეექვსე ადგილზე დარჩა, ვინაიდან დუისბურგშიც სტუმრებმა იმარჯვეს — ტრავმირებული მარტინ დალინის არყოფნაში გოლები ჰერლიხმა (28) და შვედმა მცველმა პატრიკ ანდერსონმა (59) გაიტანეს, მერე კი ეფენბერგმა და ჰერლიხმა ბარე ოთხჯერ დაინდეს მასპინძლები. კიდევ ერთი შვედის, 30 წლის ჯონი ექსტრიომის გოლმა კი მაჩანჩალა „დინამოს" ვერაფერი შესძინა. 62-ე წუთზე გატანილი ეს ბურთი კუნცის გოლის პასუხი იყო. აქ ექსტრიომი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ ცარიელ კართან მდგარმა ბურთს ფეხი ააცილა. „კაიზერსლაუტერნი" ქულის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ პენალტმა სულზე მიუსწრო — ბრემეს მსოფლიო ჩემპიონატი აქვს პენალტით მოგებული და ჩერჩესოვთან დუელში რა აალელვებდა — 2:1. დარჩენილ დროში კუნცმა კიდევ ერთი გოლი შეაგდო, ამჯერად ცაციით.

შაბათს მხოლოდ ერთი გაძევება დაფიქსირდა. შტუტგარტში მასპინძელთა თავდამსხმელი მარკ კინლე სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის უკვე 32-ე წუთზე გასახდელში აღმოჩნდა. კიდევ 44 წუთი გავიდა, სანამ „შალკე" ამ უპირატესობას გამოიყენებდა (ჰენდრიკ ჰერცოგი), მაგრამ 85-ე წუთზე ბრაზილიელი ელბერის პასი ზუსტად გამოიყენა გაგერმანელებულმა ხორვატმა ბობიჩმა და თაურით ქულა იხსნა. „შალკეს" თავდამსხმელებს მანამდე რომ უფრო ზუსტად ეთამაშათ და ორჯერ ძელის მაგივრად ბურთი კარში მოერტყათ, მასპინძელთა საქმეს ბრაზილიურ-ხორვატული კომბინაციაც ვერ უშველიდა.

მეორე ბუნდესლიგაში ლიდერობენ „მანჰაიმი", „როსტოკი" და „ზანკტ-პაული". თასის ფინალისტმა „ვოლფსბურგმა" ბოლო ტურში წააგო და მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა.

ზურაბ მეძველია



დაახლოებით ასეთი სახით ცდილობდა მიოლერი თავის გამართლებას

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 26 | 16 | 7 | 3 | 53-23 | 39 |
| ვერდერი | 26 | 16 | 6 | 4 | 50-26 | 38 |
| ფრაიბურგი | 26 | 16 | 4 | 6 | 55-36 | 36 |
| კაიზერსლაუტ. | 26 | 13 | 10 | 3 | 38-25 | 36 |
| გლადბახი | 26 | 14 | 6 | 6 | 54-31 | 34 |
| ბაიერნი | 26 | 10 | 13 | 3 | 47-35 | 33 |
| კარლსრუე | 26 | 8 | 11 | 7 | 35-33 | 27 |
| ლევერკუზენი | 26 | 9 | 8 | 9 | 44-38 | 26 |
| კიოლნი | 26 | 9 | 8 | 9 | 43-42 | 26 |
| შტუტგარტი | 26 | 8 | 9 | 9 | 44-48 | 25 |
| ჰამბურგი | 26 | 8 | 8 | 10 | 33-33 | 24 |
| შალკე | 26 | 7 | 10 | 9 | 34-36 | 24 |
| აინტრახტი | 26 | 7 | 8 | 11 | 29-44 | 22 |
| ურდინგენი | 26 | 4 | 10 | 12 | 27-37 | 18 |
| ტსვ მიუნხენი | 25 | 4 | 8 | 13 | 26-47 | 16 |
| ბოხუმი | 25 | 6 | 3 | 16 | 28-51 | 15 |
| დუისბურგი | 26 | 4 | 7 | 15 | 20-46 | 15 |
| დინამო | 26 | 3 | 6 | 17 | 23-51 | 12 |

**შოტლანდიის** ჩემპიონი ზედიზედ მეშვიდედ გახდა „გლაზგო რეინჯერსი". ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც „რეინჯერსის" მდევარი და ძველი მეტოქე „სელტიკი" სტუმრად 0:2 დამარცხდა „აბერდინთან", რომელსაც ბოლო, მეათე ადგილის დაკავება და დაქვეითება განაღდებული აქვს. ზედიზედ ჩემპიონობის ეროვნული რეკორდი „სელტიკს" ეკუთვნის — ამ კლუბს ცხრა სეზონის განმავლობაში (1966-1974) არავისთვის დაუთმია პირველობა.

**ჩილეს** ორი მოშუღარი კლუბის „კათოლიკური უნივერსიტეტისა" და „ჩილეს უნივერსიტეტის" თამაშის შემდეგ ამტყდარი ჩხუბის დაშოშმინებისას ორი პოლიციელი დაშავდა. „კოპა-ლიბერტადორესის" მატჩი კათოლიკებმა 4:1 მოიგეს. მეოთხე ბურთის გატანა და სკამების მტვრევა ერთი იყო. თამაშიც აღსავსე ყოფილა ძალადობით: გუნდებისთვის თითო მოთამაშე გაუძევებიათ.

### ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიაში** 6 თვის შემდეგ დისკვალიფიკაცია ხელახლა დააკისრეს „პალმეირასის" ჩხუბისთავ ედმუნდოს, რომელმაც თავის დროზე იჩივლა, აპელაცია მოიგო და ფეხბურთის ხელისუფლებს თავი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში ათამაშებინა.

**აშშ-ის** ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა ბორა მილუტინოვიჩი, რომელმაც ეს გუნდი შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე წრეში გაიყვანა.

**ურუგვაიში** 92 წლისა გარდაიცვალა ფრანსისკო მატეუჩი, 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მსაჯი. მავანთა მტკიცებით, იმ ჩემპიონატის მონაწილეთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩა.

# ესპანეთი

XXIX ტური. 15 აპრილი. **ატლეტიკო — რეალი 0:2, სარაგოსა — ლოგრონიესი 3:0.** 16 აპრილი. **ოვიედო — ბარსელონა 0:0, კომპოსტელა — ალბასეტე 0:0, რასინგი — სპორტინგი 0:0, სევილია — ვალიადოლიდი 1:0, სოსიედადი — ლა კორუნია 1:3, ვალენსია — ბეტისი 2:1, ტენერიფე — სელტა 3:0, ესპანიოლი — ატლეტიკი 3:1**

## სამორანო არავის ინდობს

შაბათს „რეალმა" არ დაინდო მეორე ლიგაში გავარდნის თანაქალაქელი კანდიდატი „ატლეტიკო" და სამორანოს ორი გოლით გაიმარჯვა. არადა, მატჩის დასაწყისში ხილის ბიჭები დოპინგმიღებულებივით ეკვეთნენ მეტოქეს — პირველ და მესამე წუთებზე ბუიომ ორი დარტყმა მოიგერია, მაგრამ ეს იყო და ეს. კლასმა თავისი გაიტანა და 29-ე წუთზე „რეალის" მრავალსვლიანი და ლამის ორწუთიანი შეტევა ჩილელმა ბომბარდირმა გოლით დააგვირგვინა. მასპინძლებმა ისევ ტაიმის, ამჯერად მეორის დასაწყისში გაიფაფხურეს, მაგრამ კოლუმბიელმა ვალენსიამ ბუიოსთან პირისპირ გასვლითაც ვერ იხეირა. სამორანომ კი საჯარიმოც გამოიყენა: 70-ე წუთზე ლოპესმა თამაშში მერვედ (!) მოცელა ამავისკა და ივანმა სეზონში თავისი 24-ე გოლი შეაგდო. ბურთაობაში რომ წააგო, „ატლეტიკომ" უხეშობას უმატა და 5 გაფრთხილებას (ლოპესი, კოსეცკი, დობროვილსკი, სოლოსაბალი, ვალენსია) გამოკრა ხელი, მაშინ, როცა „რეალს" მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათი (ალკორტა) შეხვდა.

„ატლეტიკო": აბელი, ტომასი, ტონი, ფერეირა, ლოპესი, სოლოსაბალი, ჟელი, კოსეცკი, კიკო ნარვაესი, დობროვოლსკი, ვალენსია; „რეალი": ბუიო, ჩენდო, ლასა, იერო (66 ალკორტა), რედონდო, სანჩისი, მარტინ ვასკესი, ლუის ენრიკე, სამორანო, ლაუდრუპი (66 მიია), ამავისკა.

კვირას „ბარსელონამ" კვლავ გაზარდა ლიდერთან სხვაობა და კატალონელთა ზედიზედ მეხუთე ჩემპიონობის ახლა კრუიფსაც აღარ სჯერა. სამაგიეროდ, მოიგო „ლა კორუნიამ", რომელიც მცირე შანსს კიდევ ინარჩუნებს. ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა „ესპანიოლმა", თუმცაკი პირველი გოლი ბასკებმა გაიტანეს.



ივან სამორანო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 29 | 18 | 8 | 3 | 65-21 | 44 |
| ლა კორუნია | 29 | 15 | 8 | 6 | 46-26 | 38 |
| ბარსელონა | 29 | 14 | 8 | 7 | 45-35 | 36 |
| სარაგოსა | 29 | 15 | 5 | 9 | 41-35 | 35 |
| ბეტისი | 29 | 11 | 12 | 6 | 34-19 | 34 |
| ესპანიოლი | 29 | 11 | 10 | 8 | 37-28 | 32 |
| სევილია | 29 | 12 | 8 | 9 | 36-30 | 32 |
| ტენერიფე | 29 | 12 | 7 | 10 | 46-39 | 31 |
| ვალენსია | 29 | 10 | 10 | 9 | 39-33 | 30 |
| ოვიედო | 29 | 10 | 10 | 9 | 34-30 | 30 |
| ატლეტიკი | 29 | 10 | 10 | 9 | 25-28 | 30 |
| სოსიედადი | 29 | 8 | 11 | 10 | 40-39 | 27 |
| რასინგი | 29 | 10 | 6 | 13 | 33-37 | 26 |
| კომპოსტელა | 29 | 8 | 10 | 11 | 30-36 | 26 |
| ალბასეტე | 29 | 6 | 13 | 10 | 34-42 | 25 |
| სელტა | 29 | 7 | 11 | 11 | 23-37 | 25 |
| სპორტინგი | 29 | 7 | 11 | 11 | 34-49 | 25 |
| ატლეტიკო | 29 | 9 | 6 | 14 | 40-44 | 24 |
| ვალიადოლიდი | 29 | 6 | 8 | 15 | 19-51 | 20 |
| ლოგრონიესი | 29 | 1 | 8 | 20 | 9-52 | 10 |

## მასპინძლობით კმაყოფილი არიან

20 წლამდე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი. ყატარი. I ტური. 13-14 აპრილი.

**„ა" ჯგუფი. ყატარი — რუსეთი 1:1, ბრაზილია — სირია 6:0. „ბ" ჯგუფი. ესპანეთი — ბურუნდი 5:1, ჩილე — იაპონია 2:2. „გ" ჯგუფი. არგენტინა — ჰოლანდია 1:0, პორტუგალია — ჰონდურასი 3:2. „დ" ჯგუფი. ავსტრალია — კოსტა-რიკა 2:0, კამერუნი — გერმანია 1:1**

შეჯიბრების გახსნას თვით ფიფას პრეზიდენტი აველანჟი დაესწრო. პრესკონფერენციაზე მან უპასუხოდ დატოვა შეკითხვა იმის შესახებ, დასჯის თუ არა ფიფა ნიგერიას, რომელმაც, მას შემდეგ, რაც ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს, ყატარში გადატანილ შეჯიბრს ბოიკოტი გამოუცხადა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ფიფას ერთობ ეცოდება ნიგერია, რომლის ფეხბურთის მამები, აბა, რას გააწყობდნენ სამხედრო ხუნტასთანო, რომლის ოდიოზური იმიჯის გამო ფიფა იძულებული შექმნილა, ჩემპიონატი სასწრაფოდ სხვაგან გადაეტანა. ფიფა თურმე ერთობ წუხს, რომ „სუპერარწივების" ამ ერთ თაობას ჯეელობაშივე ვერ ეძლევა მსოფლიო ასპარეზზე თავის გამოჩენის საშუალება.

საწყისმა თამაშებმა უსენსაციოდ ჩაიარა. ერთი ეგ იყო, რომ ერთობ ბევრი მოთამაშე გააძევეს, რასაც უფრო ფეხბურთელთა სიფიცხითა და მსაჯთა ასოკირკიტობით ხსნიან, ვიდრე წრეგადასული უხეშობით. ჰოლანდიას, ესპანეთს, კოსტა-რიკასა და გერმანიას თითო მოთამაშე გაუგდეს, ბურუნდის — ორი.

ბრაზილიელთა ლიდერმა რეინალდომ არაბებს სამი გოლი გაუტანა, პენალტი კი მე-6 წამზე (!) „აჰკიდა". არგენტინელმა ანდრეა გარონემ („როსარიო სენტრალი") ჰოლანდიას მაშინ გაუტანა ბურთი, 90 წუთი რომ უკვე გასულიყო, მანამდე კი ჰოლანდიელთა მეკარე ვან ფესენმა ერთი პენალტი ორჯერ აიღო: პირველი დარტყმისას მეკარე ადრე გადახტა. რუსეთი ყატართან მეორე ნახევარში დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა მყის აღადგინეს წონასწორობა, კამერუნი კი გერმანიასთან აგებდა, მაგრამ ოგასტინ სიმომ წამატებულ დროში იხსნა ქულა. ესპანეთმა გაანადგურა მეტოქე და ამაში დიდი წვლილი „რეალის" ვარსკვლავ რაულს მიუძღვის.

ყატარელთა მასპინძლობით ყველა კმაყოფილი ყოფილა. არაბებს ფიფასთვის მასპინძლობა რომ შეუთავაზებიათ, პირობები არ წამოუყენებიათ — მონაწილეობა არც მოუთხოვიათ, და მხოლოდ მას შემდეგლა, რაც ნიგერიამ თამაში იუარა, მის ადგილი ყატარს ერგო.

II ტური. 16 აპრილი

**„ა" ჯგუფი. სირია — ყატარი 1:0; „ბ" ჯგუფი. ჩილე — ბურუნდი 1:1; „გ" ჯგუფი. ჰოლანდია — ჰონდურასი 7:1, „დ" ჯგუფი: კამერუნი — ავსტრალია 3:2. ტურის დანარჩენი 4 მატჩი ნუხელ დამთავრდა.**

გაძევებათა ალლუმი მეორე ტურშიც გაგრძელდა. მარტო კვირას მსაჯებმა 8 ფეხბურთელი მიაბრძანეს მოედნიდან. განსაკუთრებით მრისხანებდა ჰოლანდია — ჰონდურასის იაპონელი არბიტრი. მან ოთხი ჰონდურასელი გააძევა, და როცა 77-ე წუთზე კიდევ ერთმა უსუსურმა ამერიკელმა ვითომდა ტრავმა მიიღო და ჰოლანდიელებს მეტოქედ 6 კაცი დარჩათ, მატჩი შეწყდა და ანგარიშად იმ დრიისთვის დამყარებული 7:1 დაფიქსირდა.

მსაჯებმა არც მასპინძლები დაინდეს და სირიასთან მატჩში დანიელ იორგენ ლარსენს ორი შეგირდი გაუძევეს.

# საფრანგეთი

33-ე ტური. 14-15 აპრილი. **მონპელიე — პარი სენ-ჟერმენი 0:3, ლე ავრი — კანი 1:0, სტრასბური — ნანტი 2:0, სოშო — მონაკო 0:5, რენი — კაენი 5:0, ნიცა — ოსერი 1:3, ლანი — ბასტია 3:0, მარტიგი — ლილი 1:0, სენტ-ეტიენი — მეცი 0:1, ბორდო — ლიონი 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 33 | 19 | 13 | 1 | 61-27 | 70 |
| ლიონი | 32 | 16 | 11 | 5 | 49-32 | 59 |
| პსჟ | 32 | 17 | 6 | 9 | 50-32 | 57 |
| ლანი | 33 | 14 | 13 | 6 | 43-30 | 55 |
| კანი | 33 | 15 | 6 | 12 | 45-31 | 51 |
| მონაკო | 33 | 13 | 10 | 10 | 47-31 | 49 |
| ბორდო | 33 | 13 | 9 | 11 | 45-45 | 48 |
| ოსერი | 33 | 10 | 17 | 6 | 49-33 | 47 |
| ლე ავრი | 33 | 12 | 11 | 10 | 41-38 | 47 |
| მეცი | 32 | 13 | 7 | 12 | 41-38 | 46 |
| სტრასბური | 33 | 12 | 10 | 11 | 39-38 | 46 |
| მარტიგი | 33 | 11 | 12 | 10 | 32-29 | 45 |
| რენი | 33 | 9 | 11 | 13 | 41-51 | 38 |
| ლილი | 33 | 10 | 7 | 16 | 21-40 | 37 |
| ბასტია | 33 | 9 | 9 | 15 | 33-47 | 36 |
| მონპელიე | 33 | 8 | 12 | 13 | 32-47 | 36 |
| სენტ-ეტიენი | 33 | 9 | 8 | 16 | 37-43 | 35 |
| ნიცა | 33 | 9 | 8 | 16 | 34-47 | 35 |
| კაენი | 32 | 8 | 5 | 19 | 30-49 | 29 |
| სოშო | 33 | 6 | 5 | 22 | 27-58 | 23 |

# გმირკაცი ვარ, ნუ მომკლავ!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბელს, ნორმალურად მოიქცეს და იმდღევანდელი საზიზღრობის ჩადენის სურვილსაც თავიდანვე უკარგავს. პოლიციის მოყვანა არ იყო ძნელი, ერთი ტელეფონის ზარიც იკმარებდა, მაგრამ...

მატჩის პირველივე წუთებიდან დაიწყო ფსიქოლოგიური ზეწოლა მსაჯებზე. არ დარჩა მოთამაშე, გინდა ძირითადი, გინდა სათადარიგო (ორივე გუნდიდან), რომელსაც არ შეეგინებინოს, ან არ შეელრინოს მაინც მათთვის. არც გუნდების სათადარიგოთა სკამზე მყოფი ოფიციალური პირები აკლებდნენ „ტკბილ-ტკბილებს". ამისთვის არსებობს ერთადერთი ხერხი: მიეცი ტექნიკური ჯარიმა, გაიმეორებს — მოედნიდან და დარბაზიდან საერთოდ გააგდე. ვინ იცის, მსაჯები ამგვარად რომ მოქცეულიყვნენ, საქმე არც გართულებულიყო. აკი აჩვენა მათ გიორგი ავალიშვილმა ამის მაგალითი „მერანი" — „თორსის" მატჩისას, რომელიც ამ შეხვედრის წინ გაიმართა და გაცილებით უფრო პრინციპულიც იყო (გამარჯვებული ფლეი-ოფში ხვდებოდა): როგორც კი „მერანის" ლიდერმა უძილაურმა ხმას აუწია, ტექნიკურიც მიიღო, თამაშიდანაც გავარდა, მატჩი კი ნორმალურად გაგრძელდა. ამის სანაცვლოდ „კაქტუსი" — „ვითას" არბიტრებმა ზედიზედ დაიწყეს შეცდომების დაშვება — ძირითადად მათ სასარგებლოდ, ვინც უფრო მაგრად შეაგინებდა. გინება მეორე მხარემაც იცის — ახლა სასტვენი მის სასარგებლოდ და ა.შ. თამაში აირია და არბიტრებმა ყოველგვარი კონტროლი დაკარგეს მასზე. დამთავრებამდე 6,20 წუთით ადრე „კაქტუსის" სკამიდან გინების გამო, მაღალაშვილი, შეურაცხმყოფელის ტექნიკურით დასჯის ან გაძევების ნაცვლად, მივიდა სამდივნოსთან, მოიხსნა სასტვენი და მატჩის გაგრძელებაზე უარი თქვა. ამ დროს სამთავრობო ლოჟიდან დაიძრა სპორტდეპარტამენტის დელეგაცია ბატონ ჯანო ბაგრატიონის მეთაურობით, რომელმაც მსაჯი მოედანზე დააბრუნა, ხოლო თავად ბოლომდე სამდივნოსთან დარჩა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მატჩის კომისარი, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი მეორე ტაიმში დარბაზში არ ყოფილა, უთქვამს, ცუდად ვარო. რაც შეეხება ფედერაციის პრეზიდენტს, იგი კარგა ხანია თამაშებზე აღარავის უნახავს.

მატჩი გრძელდება და ორმხრივი პრეტენზიებიც. დამთავრებამდე 1,6 წამით ადრე ნაცვლიშვილმა დაამატა თორთლაძის აცდენილ ბურთს და „კაქტუსი" 82:81 დაწინაურდა. მოთამაშეები გამარჯვებას ზეიმობდნენ, როცა მოედანზე ზემოთ აღწერილი გულისამრევი სანახაობა დაიწყო.

### ამ ჩემპიონატს რა დაამთავრებს?!

ალბათ ასეთი განწყობა აქვს კალათბურთის ფედერაციას. ყოველ შემთხვევაში, დამოკიდებულება მის მიმართ აბსოლუტურად გულგრილია. მას შემდეგ, რაც უკუაგდეს პროფლიგის იდეა, ჩემპიონატის ჩატარება კვლავ ფედერაციის საქმედ დარჩა და ისიც იმასღა ფიქრობდა, ბოლომდე როგორ გაეთრია იგი. ამაში ნებისმიერი დარწმუნდება, ვინც კი შეჯიბრების კალენდარს გადახედავს. პირველი წრე ნოემბერში დასრულდა, მეორე კი... ოთხი თვის შემდეგ განახლდა. შემდეგ, აქაოდა, ნაკრებს მომზადება სჭირდებაო, ჩემპიონატის დასრულება ერთ თვეში გადაწყდა. გამოდიოდა, რომ ფლეი-ოფში გასულ გუნდს ერთ თვეში მინიმუმ 20 მატჩი უნდა ეთამაშა. ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა საქმის მიფუჩეჩება.

არადა, იყო ხალხი, ვინც თავის დროზე ცდილობდა, აერიდებინა ამგვარი ვითარება. სჯობს, თავად მათ მოვუსმინოთ: „შარშან მე იმ ხალხთან ერთად ვიყავი, ვინც ფიქრობდა, რომ ჩემპიონატს დიდი დღე არ ეწერა, თუკი არ შეიქმნებოდა პროფესიული ლიგა. სამწუხაროდ, ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა" (ინტერვიუ თამაზ ოქრუაშვილთან. „სარბიელი", 4 აპრილი, 1995). „შარშან ფედერაციის სხდომაზე ვთქვი, რომ ეს ჩემპიონატი არ დამთავრდება-მეთქი. ამას დიდი წინასწარმეტყველობა არ სჭირდებოდა, დღევანდელი დამოკიდებულებით ასეც იყო მოსალოდნელი... თუ ასე გაგრძელდა, ეს იქნება საქართველოს ბოლო ჩემპიონატი" (ინტერვიუ თემურ დათიკაშვილთან. „სარბიელი", 31 მარტი, 1995). არსებობს სხვა უამრავი მაგალითიც, რომელთა ახლა მოყვანა ბევრ დროს და ადგილს წაიღებს. მაგრამ რად გინდა, ჩვენში ხომ სპეციალისტების აზრს ყურადღებას არსად აქცევენ და კალათბურთი რაღა გამონაკლისია!

ცხადია, შეჯიბრებაზე, რომელიც ნაკლებად გაღელვებს, მსაჯებად ნებისმიერს მოიწვევ, ვინც გეტყვის — გადამიხადე და მიმსაჯურეო. დღეს შემორჩენილი არბიტრებიდან ზოგი მწვრთნელია, ზოგი პედაგოგი, მაგრამ პროფესიონალი არცერთი არ გახლავთ. ამიტომაცაა, მათი უმრავლესობა პრინციპული მატჩების მსაჯობას რომ უარობს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ხომერიკმა 4 აპრილის „სარბიელში" ეჭვი გამოთქვა ჩემპიონატის ბოლოდე[illegible] ჩამთავრებაზე. და ეს ხდება მაშინ, როცა სამი უმაღლესი კატეგორიის არბიტრი გვყავს, მაგრამ მსაჯობაზე უარს აცხადებენ. ორი აზრიც არ არის, ფედერაციას მათ მოსაბრუნებლად ყველაფერი უნდა ეღონა — დაწყებული პირადი თხოვნით, დამთავრებული ზემდგომი ორგანოების ჩარევით (კანონის და მორალის ფარგლებში, რა თქმა უნდა), მაგრამ ამ ხალხს ისევ მწვრთნელები თუ მიმართავდნენ ხოლმე თხოვნით, მოედანზე დაბრუნებულიყვნენ, სხვას ამით თავიც კი არ შეუწუხებია.

კალათბურთისადმი დამოკიდებულებამ, შეჯიბრების აწეწილმა კალენდარმა, უსისტემო, უხეირო მსაჯობამ, კალათბურთის გარშემო ამტყდარმა არაჯანსაღმა აჟიოტაჟმა, რომელიც მოედნის მიღმა იწყება და იქვე იჩენს ხოლმე თავს (მოთამაშეთა დიდი ნაწილის უზრდელობა, თავშეუკავებლობა, მაყურებელთა მხრიდან ამის წაქეზება) და კიდევ უამრავმა წვრილმანმა 14 აპრილის პრეცედენტი მოიტანა. ამგვარი რამ რომ მოხდებოდა, ცხადი იყო. საკვირველი ისაა, რატომ აქამდე არ მოხდა. იქნებ ამის შემდეგ მაინც მივხედოთ საქმეს წესიერად, რადგან წინ ფლეი-ოფებია და იმ თამაშების ფასი და დაძაბულობა ბევრად მაღალი იქნება. თუმცა, მოდით, ნუ ავჩქარდებით, რადგან

### ჩემპიონატი შესაძლოა სულ შეწყდეს.

მატჩის ჩაშლის შემდეგ ჯანო ბაგრატიონმა იქვე, სპორტის სასახლეში შეკრიბა საკალათბურთო საზოგადოება და სახელდახელო თათბირი გამართა. მომხდარი ფაქტი დაიგმო და შეჯიბრება ჯერჯერობით შეწყდა. როგორც ადრე მოგახსენეთ, იქამდე, სანამ სპორტდეპარტამენტის კოლეგიის სხდომა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. გამოითქვა მოსაზრება, ჩემპიონატი საერთოდ შევწყვიტოთო. ამგვარი ჩემპიონატის გამართვას, იქნებ შეწყვეტაც სჯობდეს, მაგრამ არსებობს უამრავი ნიუანსი, რომელთა გათვალისწინება არ გვაწყენდა. ერთი მაგალითი ვიკმაროთ: სექტემბერში ევროტურნირები დაიწყება. თუკი აქ ჩემპიონატი არ დასრულდა, ფიბა არავითარ შემთხვევაში არ ათამაშებს იქ ქართულ გუნდებს. ეს კი ჩვენი კალათბურთისთვის საბოლოოდ დაღუპვის ტოლფასი იქნება. გვრჩება ნაკრები გუნდები, მაგრამ

### ნაკრები არსად არ წავა

— ბრძანა ბატონმა ჯანომ. ლაპარაკია საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე, რომელსაც მაისში ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები ელის. იმედი ვიქონიოთ, რომ ბატონმა ჯანომ ეს მხოლოდ განრისხებისა და აღელვების გამო თქვა. მართალია, ამაზრზენი რამ მოხდა, მაგრამ იჩხუბეს მაყურებლებმა და არა კალათბურთელებმა. თუ მაინცდამაინც „ვითასა" და „კაქტუსის" მატჩზეა ლაპარაკი, ამ გუნდის წევრთა გარდა ხომ ნაკრებში სხვა კლუბების წარმომადგენლებიც არიან და მათ რაღა დააშავეს? ეს მორალური საკითხია. იურიდიულად კი რა ხდება? თუკი ჩვენ არ გავგზავნით ნაკრებ გუნდებს ამ შეჯიბრებებზე, ჯარიმად ცალკეულ შემთხვევაში 10 ათასი დოლარი უნდა გადავიხადოთ. 20 ათასი დოლარი კი ჯარიმებისთვის რომ გვქონდეს, მაშინ ჩვენი ჩემპიონატი ჩემპიონატს ემსგავსებოდა, კალათბურთი — კალათბურთს და ფედერაცია — ფედერაციას.

**მერაბ რატიშვილი**

**გია ახალაძის ფოტო**



### საქართველოს ჩემპიონატი

ექვსეულის მეორე წრე.
სპორტის სასახლე

პარასკევი. 14 აპრილი

**დინამო — აზოტი 106:67**

დინამო: მაისურაძე (9), ცაგარეიშვილი (5), ვაშაკიძე (18), დარსაძე (9), გოგუა (11), ქარაბაკი (25), კილაძე (18), დავითულიანი (11)

აზოტი: მიროტაძე (2), კიკვიძე (8), გოგოლაძე (4), მჭედლიძე, ხაიური (16), გონაშვილი (10), ქობულაძე (8), კეჭაყმაძე (15), ბარამიძე (4)

**მერანი — თორსი 79:72**

მერანი: უძილაური (6), გიგაური (2), პეტრიაშვილი (23), ტალაბაძე (8), ი. ბერიშვილი (4), ჯაბრიჩიძე (6), შველიძე (2), ბარბაქაძე, ნაცვლიშვილი (28), დ. ბერიშვილი

თორსი: ცაგარეიშვილი (3), ქევხიშვილი (7), ლომთაძე (22), ორჯონიკიძე, ჩხეიძე (21), მიქაძე (4), ხარაძე (10), ლუდუშაური (5)

კაქტუსი — ვითა ჩაიშალა. გადაწყვეტილება მატჩის შედეგის შესახებ ჯერ არ გამოტანილა.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 25 | 25 | 0 | 2477-1651 | 50 |
| დინამო | 26 | 21 | 5 | 2415-1870 | 47 |
| ვითა | 25 | 21 | 4 | 2599-1705 | 46 |
| მერანი | 26 | 12 | 14 | 1931-2060 | 38 |
| თორსი | 26 | 11 | 15 | 1717-2099 | 37 |
| აზოტი | 26 | 10 | 16 | 1813-2097 | 35 |

აზოტს დაკლებული აქვს 1 ქულა.

ბომბარდირები
(ქულა, თამაში, საშუალოდ)

ლევან ქარაბაკი (დინამო)
169 7 24,1

ბერდია ქობულაძე (აზოტი)
176 8 22,0

დუდუ დადიანი (ვითა)
148 7 21,1

ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი)
141 7 20,1

გია ჩხეიძე (თორსი)
117 6 19,5

დავით თორთლაძე (კაქტუსი)
134 7 19,1

ვახტანგ ნაცვლიშვილი (კაქტუსი)
111 6 18,5

შოთა უძილაური (მერანი)
138 8 17,2

მერაბ ნაცვლიშვილი (მერანი)
129 8 16,1

დავით სპარსიაშვილი (თორსი)
109 7 15,5

სამქულიანები

დავით თორთლაძე (კაქტუსი) — 26
გია ჩხეიძე (თორსი) — 20
გია სანაძე (ვითა) — 15
ნიკო ჩერქეზიშვილი (ვითა) — 15
ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო) — 15

საჯარიმოები (ნასროლი, ჩაგდებული, %)

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა)
14 13 92,8

ლევან ქარაბაკი (დინამო)
19 16 84,2

დავით თორთლაძე (კაქტუსი)
19 16 84,2

თამაზ გიგაური (მერანი)
18 15 83,8

შოთა უძილაური (მერანი)
19 15 78,9

---

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. „ოთხთა ფინალი". სარაგოსა



არვიდას საბონისი და პანაიოტის ფასულასი

# ბრძენ სოკრატეს არაფერი უთქვამს

ფინალი. 13 აპრილი

**რეალ-მადრიდი (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 73:61 (38:28)**

რეალი: ანტუნესი (12), გარსია კოლი (2), სანტოსი (7), არლაუსკასი (16), საბონისი (23); კარგოლი (6), მარტინი (6), ლასა (1)

ოლიმპიაკოსი: ტომიჩი (3), სიგალასი (13), ჯონსონი (9), ვოლკოვი (9), ფასულასი (2); ტარლაცი (7), ბაკაციასი (6), ნაკიჩი (12)

როცა „პანათინაიკოსთან" მოგებული ნახევარფინალის შემდეგ „ოლიმპიაკოსის" პრეზიდენტს, მოსკოში, „მგუ"-ში განსწავლულ სოკრატის კოკალისს „რეალთან" მომავალი ფინალის პროგნოზი სთხოვეს, მან მთელი პასუხი თანამემამულეებთან განვლილ მატჩს მიუძღვნა. „ათენელებს რამდენჯერ შევხვედრივართ, მაგრამ ასეთი დაძაბული თამაში აქამდე არ ყოფილაო". ფინალზე კი არცერთი სიტყვა! ჩანს, პრეზიდენტმა „პანათინაიკოსის" დამარცხებით საქმე მოთავებულად ჩათვალა და „რეალთან" წაგებას შეგუებული იყო.

ბერძნებმა თავად ფინალური შეხვედრაც ამ განწყობით დაიწყეს. მათ ლიდერს — ედი ჯონსონს ისმაელ სანტოსი მიეწება და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხელი არ გაანძრევინა. ფასულასი საბონისს დაუდგა და პირწმინდად წააგო — ლიტველს უკვე პირველ ტაიმში 14 ქულა ჰქონდა. სამაგიეროდ, 3 პერსონალურიც მიიღო და ნახევარფინალის მსგავსად, ადგილი მარტინს დაუთმო. მარტინი ამჯერად სულ სხვა მოთამაშედ წარმოგვიდგა. ბერძენთა ცენტრების ტრადიციულ დუეტს (ვოლკოვი-ტარლაცი) შეტევაში შავი დღე აყარა, ხოლო დაცვაში არლაუსკასთან ერთად არავინ გააჭარა.

„რეალმა" პირველივე წუთებზე ათქულიანი უპირატესობა მიიღო და მთელი დარჩენილი დრო მის შენარჩუნებას ცდილობდა. არც პირეოსელებს გამოუღიათ მაინცდამაინც თავი — სიგალასი და ნაკიჩი დანარჩენთა ფონზე დონ-კიხოტებად მოგვჩვენებოდნენ. ერთადერთი მომენტი, როცა გარდატეხა შესაძლებელი იყო, მეორე ტაიმის მეათე წუთზე დადგა: ესპანელები 50:40 იგებდნენ. საბონისმა და სანტოსმა ზედიზედ მიიღეს მეოთხე პერსონალურები და ბოლო წუთებისთვის თავის შესანახად სკამზე დასხდნენ. ბერძნებმა ფასულასი გამოიყვანეს, თანაც ტარლაცი და ვოლკოვი მიაშველეს, რითაც, წესით, ფარი უნდა მოეგოთ — მაგრამ მარტინმა და კარგოლმა ბრწყინვალედ დარაზმეს დაცვა და კონტრშეტევების წყალობით იქით გაზარდეს ანგარიში. ბოლო ხუთი წუთი კი გუნდებმა ნაძალადევად ითამაშეს, რადგან გამარჯვებული ცნობილი იყო და ყველას სურდა, საქმე რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა.

ფინალური მომენტი კი მეტად ეფექტური გამოდგა: ანტუნესმა ბურთი ჩაჭრა მეტოქის ფართან მარტოდდარჩენილ არლაუსკასს გადაუგდო (სხვათა შორის, ეს მატჩისთვის დამახასიათებელი ეპიზოდია). ამანაც ჩატენვით დასვა წერტილი, რითაც



ისმაელ სანტოსი

თავის გუნდს უკვე უეჭველად გაუნაღდა ევროპის საკლუბო ჩემპიონობა. „რეალის" მწვრთნელი ზელიმირ (ზელკო) ობრადოვიჩი კი რეკორდსმენი გახდა — აქამდე არავის მოუგია ეს ტიტული სამ სხვადასხვა გუნდთან ერთად (შეგახსენებთ: 1992 — „პარტიზანი", 1994 — „ხუვენტუდი", 1995 — „რეალი"). საპატიო თასი მადრიდელთა კაპიტანს ხოსე ბირიუკოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გადასცა. ხოლო „რეალის" პრეზიდენტი რამონ მენდოსა სიამოვნებისგან ხან ობრადოვიჩს უტყაპუნებდა ბეჭებზე ხელს, ხან მატჩის საუკეთესო მოთამაშეს ისმაელ სანტოსს. ამ მატჩამდე კი, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში „პანათინაიკოსმა" 91:77 (48:35) დაამარცხა „ლიმოჟი".

**ანტონ ერისთავი**

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი:<br>h - შინ, a - სტუმრად | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|

### ევროტურნირები. ნახევარფინალი. 18-20 აპრილი

მეორე სტრიქონში მოცემულია ფინალში გასვლის კოეფიციენტი

| | | 1 | X | 2 | I წრე | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.04 | BORUSSIA D - JUVENTUS<br>1,3 - 2,5 | 2,3 | 2,2 | 2,5 | 2-2 | | |
| | PARMA - B. LEVERKUSEN<br>-- - 6,0 | 1,3 | 3,0 | 5,0 | 2-1 | | |
| 19.04 | AJAX - BAYERN<br>1,3 - 2,5 | 1,4 | 2,7 | 4,7 | 0-0 | | |
| | MILAN - PSG<br>-- - 5,0 | 1,4 | 2,7 | 4,7 | 1-0 | | |
| 20.04 | CHELSEA - ZARAGOZA<br>4,0 - -- | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-3 | | |
| | SAMPDORIA - ARSENAL<br>1,5 - 2,0 | 1,4 | 2,6 | 5,0 | 2-3 | | |

### იტალია. 28-ე ტური. 23 აპრილი

| | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | BARI - BRESCIA<br>a 0-0 Cremonese / a 0-3 Roma<br>h 2-2 Fiorentina / h 1-3 Padova | 1,1 | 3,2 | 8,0 | 2-1 | -/- | -/- |
| | CAGLIARI - REGGIANA<br>a 1-1 Genoa / h 1-2 Juventus<br>h 2-1 Foggia / a 0-2 Lazio | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-0 | 3-0/1-3 | -/- |
| | CREMONESE - GENOA<br>h 0-0 Bari / h 1-1 Cagliari<br>a 1-2 Sampdoria / a 0-2 Inter | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-0 | 1-1/0-1 | -/- |
| | JUVENTUS - PADOVA<br>a 2-1 Reggiana / h 2-0 Lazio<br>h 1-2 Torino / a 3-1 Brescia | 1,1 | 3,2 | 8,0 | 2-1 | -/- | -/- |
| | MILAN - TORINO<br>a 1-3 Inter / h 0-0 Sampdoria<br>a 3-2 Parma / a 2-1 Juventus | 1,3 | 3,0 | 5,0 | 1-1 | 1-0/0-0 | 0-0/1-1 |
| | NAPOLI - FOGGIA<br>a 0-4 Fiorentina / h 0-0 Parma<br>h 0-0 Roma / a 1-2 Cagliari | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | 1-1/1-0 | 2-0/4-2 |
| | PARMA - INTER<br>a 0-0 Foggia / h 3-1 Milan<br>h 2-3 Milan / h 2-0 Genoa | 1,4 | 2,7 | 4,7 | 1-1 | 4-1/2-3 | 2-0/1-2 |
| | ROMA - LAZIO<br>h 3-0 Brescia / a 0-2 Padova<br>a 0-0 Napoli / h 2-0 Reggiana | 1,8 | 2,6 | 2,8 | 3-0 | 1-1/0-1 | 0-0/1-1 |
| | SAMPDORIA - FIORENTINA<br>a 0-0 Torino / h 4-0 Napoli<br>h 2-1 Cremonese / a 2-2 Bari | 1,5 | 2,7 | 4,0 | 2-2 | -/- | 2-0/0-4 |

### ესპანეთი. 30-ე ტური. 22-23 აპრილი

| | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | RACING - SEVILLA<br>h 0-0 Sporting / h 1-0 Valladolid<br>a 0-2 Athletic / a 0-3 Sporting | 1,8 | 2,5 | 3,0 | 3-1 | 1-0/1-2 | -/- |
| | SPORTING - ESPANOL<br>a 0-0 Racing / h 3-1 Athletic<br>h 3-0 Sevilla / a 1-1 Albacete | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | -/- | 1-1/2-1 |
| | BARCELONA - VALLADOLID<br>a 0-0 Oviedo / a 0-1 Sevilla<br>h 1-1 Sociedad / h 2-1 Oviedo | 1,1 | 3,2 | 8,0 | 3-1 | 3-0/3-1 | -/- |
| | ATHLETIC - COMPOSTELA<br>a 1-3 Espanol / h 0-0 Albacete<br>h 2-0 Racing / a 4-0 Logrones | 1,3 | 2,8 | 6,5 | 1-0 | -/- | -/- |
| | DEPORTIVO - OVIEDO<br>a 3-1 Sociedad / h 0-0 Barcelona<br>h 4-1 Tenerife / a 1-2 Valladolid | 1,2 | 3,0 | 6,5 | 0-2 | 4-0/5-2 | 2-1/3-3 |
| | ALBACETE - ZARAGOZA<br>a 0-0 Compostela / h 3-0 Logrones<br>h 1-1 Espanol / a 0-3 Real | 2,2 | 2,4 | 2,4 | 0-1 | 2-1/1-1 | 1-3/1-0 |
| | CELTA - R. SOCIEDAD<br>a 0-3 Tenerife / h 1-3 Deportivo<br>h 0-0 Valencia / a 1-1 Barcelona | 1,5 | 2,8 | 3,8 | 3-2 | 3-2/1-2 | 2-1/1-1 |
| | LOGRONES - ATLETICO<br>a 0-3 Zaragoza / h 0-2 Real<br>h 0-4 Compostela / a 0-2 Betis | 4,4 | 3,2 | 1,3 | 0-3 | 1-0/0-1 | 2-1/1-0 |
| | BETIS - TENERIFE<br>a 1-2 Valencia / h 3-0 Celta<br>h 2-0 Atletico / a 1-4 Deportivo | 1,4 | 2,7 | 4,7 | 4-1 | -/- | -/- |
| | REAL - VALENCIA<br>a 2-0 Atletico / h 2-1 Betis<br>h 3-0 Zaragoza / a 0-0 Celta | 1,2 | 3,0 | 6,5 | 2-1 | 3-2/3-0 | 2-0/2-1 |

### გერმანია. 27-ე ტური. 21-22 აპრილი

| | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.04 | BOCHUM - KOLN<br>a 0-4 Munchen 1860 / h 1-1 Werder<br>h 0-0 Hamburger SV / a 3-1 Dynamo | 2,4 | 2,4 | 2,2 | 1-2 | -/- | 0-0/0-1 |
| | KARLSRUHER SC - STUTTGART<br>a 1-2 Borussia D / h 1-1 Schalke 04<br>h 1-1 Eintracht / a 1-4 B. Uerdingen | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-4 | 0-0/0-3 | 1-1/1-2 |
| | BORUSSIA M - HAMBURGER SV<br>a 2-0 Duisburg / h 1-2 Freiburg<br>h 1-3 B. Leverkusen / a 0-0 Bochum | 1,2 | 3,0 | 6,5 | 2-1 | 2-2/3-1 | 0-0/2-0 |
| 22.04 | DYNAMO - EINTRACHT<br>a 1-3 Kaiserslautern / h 2-5 Bayern<br>h 1-3 Koln / a 1-1 Karlsruher SC | 2,8 | 2,6 | 1,8 | 0-2 | 0-4/2-3 | 0-2/1-1 |
| | WERDER - KAISERSLAUTERN<br>a 1-1 Koln / h 3-1 Dynamo<br>h 2-0 Munchen 1860 / a 1-1 Bayern | 1,4 | 2,7 | 4,7 | 1-1 | 2-0/3-2 | 1-0/1-3 |
| | FREIBURG - MUNCHEN 1860<br>a 2-1 Hamburger SV / h 4-0 Bochum<br>h 3-0 Duisburg / a 0-2 Werder | 1,2 | 3,0 | 6,5 | 0-4 | -/- | -/- |
| | B. LEVERKUSEN - DUISBURG<br>a 1-0 B. Uerdingen / h 0-2 Borussia M<br>h 3-1 Borussia M / a 0-3 Freiburg | 1,3 | 3,0 | 5,0 | 2-0 | 2-1/2-2 | -/- |
| | SCHALKE 04 - B. UERDINGEN<br>a 1-1 Stuttgart / h 0-1 B. Leverkusen<br>h 0-0 Borussia D / h 4-1 Stuttgart | 1,4 | 2,7 | 4,7 | 1-1 | -/- | 1-1/2-4 |
| | BAYERN - BORUSSIA D<br>a 5-2 Eintracht / h 2-1 Karlsruher SC<br>h 1-1 Kaiserslautern / a 0-0 Shalke 04 | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-1 | 0-0/1-1 | 2-0/2-1 |

### ევროპის ჩემპიონატი. 25-26 აპრილი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 25.04 | პოლონეთი—ისრაელი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| 26.04 | საფრანგეთი—სლოვაკეთი | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | აზერბაიჯანი—რუმინეთი (2:0) | 2,8 | 3,0 | 1,6 |
| | სომხეთი—ესპანეთი (2:0) | 2,5 | 3,0 | 1,8 |
| | ბელგია—კვიპროსი (0:2) | 2,4 | 3,8 | 1,6 |
| | დანია—მაკედონია | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | შვეიცარია—თურქეთი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| | უნგრეთი—შვედეთი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| | ლიტვა—იტალია | 4,4 | 2,8 | 1,4 |
| | ხორვატია—სლოვენია | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | ესტონეთი—უკრაინა | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | ირლანდია—პორტუგალია | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ლატვია—ჩრდ. ირლანდია | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| 26.04 | ავსტრია—ლიხტენშტაინი (0:4) | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| | ბელარუსი—მალტა (0:1) | 1,5 | 3,0 | 3,0 |
| | ჩეხეთი—პოლანდია | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| | ნორვეგია—ლუქსემბურგი (0:4) | 2,0 | 3,5 | 1,8 |
| | გერმანია—უელსი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | მოლდოვა—ბულგარეთი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | სან მარინო—შოტლანდია (3:0) | 2,0 | 3,5 | 1,8 |
| | საბერძნეთი—რუსეთი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ფარერები—ფინეთი (2:0) | 2,2 | 3,0 | 1,8 |

საქართველო — ალბანეთის თამაშზე ფსონები მიილება მხოლოდ ანგარიშის გამოცნობაზე კოეფიციენტით 4,0

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | | 1-3 | | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | |
| 6 | AC FOGGIA | | 3-1 | 2-0 | 0-1 | | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | | ■ | | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | | 5-0 | 2-1 | | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | | 2-1 | | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | | 1-0 | 2-0 | | | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | | | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | | 3-2 | 2-3 | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | | | 3-1 | 1-1 | 2-1 | | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | | | | 0-0 | | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | | |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | | 2-0 | 0-2 | 1-0 | | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | | 1-2 | 0-1 | ■ | | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | | | 1-1 | 3-0 | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | | | 2-0 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | | | 2-0 | 4-2 | | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | | | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | 1-3 | | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | | 0-0 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | |
| 17 | CD TENERIFE | | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | | | 0-0 | 1-2 | | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | | | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | 2-0 | ■ | | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | | 4-1 | 2-0 | | ■ | | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-5 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | | | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | | ■ | 0-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | | 2-4 | 2-2 | 3-1 | | | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | | 3-0 | | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | | 4-0 | 2-4 | | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | | 4-0 | 2-2 | | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | | | 1-0 | | 1-1 | | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 1-1 | | 6-2 | ■ | 1-1 | |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 1-3 | 1-1 | | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | | 0-1 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | | | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | ■ | 2-1 | 4-0 | | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | | 2-4 | | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 1-1 | | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-4 | | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 1-1 | | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | | 0-2 | 3-1 | ■ | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | | 0-0 | 1-0 | |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | | 0-2 | | ■ | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 2-1 | 1-3 | | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 3-0 | | 1-0 | 4-0 | ■ | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 2-2 | 0-1 | 2-2 | | 1-3 | ■ | 1-2 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 1-0 | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 0-3 | | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | | | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 4-2 | | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | 3-0 |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | | 1-2 | | ■ |

## რაგბი

# მსოფლიო თასის კრიალოსანი

ზღვისრეთის ქვეყანა მანუ სამოამ მარცხიანად დაასრულა სამხრეთაფრიკული ბლიც-ტურნე: შუა კვირაში — ხუთშაბათს, 13 აპრილს იოჰანესბურგის „ელის პარკზე" 8:60 დამარცხდა მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებ „ქურციკებთან", რომლის ტრანსვაალელმა მცველმა გევინ ჯონსონმა 28 ქულა მოაგროვა და ტესტ-რაგბში შედეგიანობის ეროვნული რეკორდი გააუმჯობესა. ჯონსონის მონაგარი გოლების გარდა სამმა ლელომაც შეადგინა.

ზღვისრეთში სტუმარმა კანადამ ახალ ზელანდიაში მეორე თამაშიც წააგო — ამჯერად პალმერსტონ-ნორსში, 15 აპრილს, მასპინძელთა მეორე ნაკრებთან 17 (3) (2ლ, 2გ, ს) : 38 (16) (4ლ, 3გ, 4ს). ზელანდიამ ათამაშა პირველი გუნდის წევრები მაიკლ ჯოუნზი, არან პენე, ალამა იერემია და შეინ ჰოვარსი. წაგების შემდეგ კანადელთა მწვრთნელ იან ბირთველს განუცხადებია, კარგად გვესმის, ერთი კვირის თავზე რა გველისო. მისი შიში გასაგებია — შაბათს კანადამ ოკლენდში „ოლ ბლექსს" ტესტი უნდა გაუმართოს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ინგლისს ახალი ჩემპიონი ეყოლება. შაბათს „ლესტერმა" შინ, „ველფორდ როუდზე" 31:21 დაამარცხა ბოლო ოთხი წლის ჩემპიონი „ბასი" და შეჯიბრების ბოლომდე ორი ტურით ადრე ორი ქულით დაწინაურდა. მასპინძლებმა ჩემპიონს შერკინებით აჯობეს. თავი ერთობ გამოუჩენიათ ბურჯ რაუნთრის, მეორეხაზელ ჯონსონსა და დიდ 8 ნომერ დინ რიჩარდსს. „ლესტერის" დამრტყმელმა ჯონ ლაილიმ 5 საჯარიმო გაიტანა, ჯეს ჰარისმა კი — 3 არეკნი. „ბასი" მეორე ნახევარში აბურთავდა და ადებაიოსა და ქეთის ეშხიანი ლელოებით წამოეწია მეტოქეს 21:24, მაგრამ ბოლო წამებზე გარემარბმა რორი ანდერვუდმა სტუმრებს გადაცემა ჩაუჭრა და მათს ლელომდე ირბინა. აღსანიშნავია, რომ „ლესტერი" ინგლისის პირველი ჩემპიონი იყო — 1988 წელს, „ველფორდ როუდი" კი ქალაქის ფეხბურთის კლუბის სტადიონის — „ფილბერტ სტრიტის" მეზობლადაა გაშენებული, რის გამოც ხშირად მომხდარა, რომ სტუმარი ფეხბურთის გუნდის ქომაგები შეცდომით რაგბის სტადიონზე მისულან და ოჩოფეხებიანი კარების დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსვლიათ. წელს ლესტერის რაგბის კლუბი ქვეყნის ჩემპიონი ხდება, ფეხბურთისას კი გავარდნა განაღდებული აქვს.

„ბარბაროსებმა" წამოიწყეს ტრადიციული სააღდგომო ტურნე, რომლის პროგრამაშიც უწინ ოთხ უელსურ კლუბთან თამაში და საქველმოქმედო გოლფი შედიოდა, სადღეისოდ კი „კარდიფთან" და „სვონზისთან" შეხვედრებიღა დარჩენილა. სტუმრებთან თამაშის ხათრით ლიდერმა „კარდიფმა" ჩემპიონატის თამაში გადადო, „ბარბაროსებს" კი 75:33 მოუგო.

კვირას, ბუქარესტში, ჭაბუკთა „მსოფლიო პირველობის" ფინალში საფრანგეთმა 27:12 დაამარცხა არგენტინა. ამ შეჯიბრის მესამე ჯგუფში სასპარეზოდ რუმინეთს თავის დროზე, 6 აპრილს ავტობუსით გაემგზავრა საქართველოს ნაკრები, მაგრამ შინ ჯერაც არ დაბრუნებულა.

## ლიგა



# მერდოქისეული წარღვნის წინ

თუ ინგლისის სარაგბო ჩემპიონატი მერვედ ტარდება, სალიგისრაგბო, „სტოუნზ ბიტერზი" რომ სპონსორობს და საუკუნოვანი ტრადიცია რომ აქვს, უკანასკნელად იმართება, ვინაიდან 1996 წლის მარტიდან ლიგის რაგბი ბრიტანეთში საზაფხულო თამაში ხდება, მოწინავე ბრიტანული კლუბები კი ქვეყნის პირველობის ნაცვლად ავსტრალიელი მერდოქის მიერ დაარსებულ ევროპის სუპერ-ლიგაში იასპარეზებენ. სახელგანთქმულმა „ვიგანმა" პარასკევს, 14 აპრილს, შინ დაამარცხა „სენთ-ჰელენსი" 34 (18) : 18 (12) და ზედიზედ მეექვსედ გახდა ჩემპიონი, ვინაიდან ფინიშამდე ორი ტურით ადრე მთელი 5 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „ლიდსს". რაც შეეხება სუპერ-ლიგას, საფრანგეთმა განაცხადა, რომ ორის ნაცვლად მხოლოდ ერთ გუნდს გამოიყვანს, რის შედეგადაც ვაკანსია პირველ სათადარიგოს, „ვიდნესს" ერგო, რომელსაც სხვაფრივ დამლა და „ჩეშირის" შესაქმნელად „ვორინგტონთან" შერწყმა არ ასცდებოდა. ამან მეტად გაახელა „კიფლი", ვინაც მეორე ჯგუფს ლიდერობს და საგაისოდ, წესითა და რიგით, პირველში გადავიდოდა, მერდოქის ჩარევა რომ არა. იგი თავის ლიგას სასამართლოში უჩივის, რა უფლებით მიკრძალავთ აღზევებასო — სუპერ-ლიგაში 14-ის ნაცვლად 16 გუნდი დაუშვით და ჩვენც ჩაგვრიცხეთო. ამასობაში, მსოფლიოსა და ავსტრალიის ლიგის რაგბის კანონიერ მამას — კენ ეფერტონს ღია წერილი გაუგზავნია ბრიტანელთათვის, მერდოქის სუპერ-გეგმების აყოლით იმდენს იზამთ, რომ საოქტომბრო საიუბილეო მსოფლიო თასიც ჩაგეშლებათ და აღარც ავსტრალია გეთამაშებათ ბრიტანეთსო. პაპუასეთსა და ზღვისრეთის კუნძულებს აფერტონისთვის მხარი დაუჭერიათ.

კვირას ლიგის რაგბი პირველად ითამაშა „ოლ ბლექსის" გარემარბყოფილმა ჯონ ქერვინმა — იგი „ვინფილდის თასის" მატჩში შემცვლელად შეიყვანეს. ქერვინის გუნდმა „ოკლენდ ვორიორზმა" ავსტრალიის „ილავარა სტილერზი" 40:28 დაამარცხა.

## ჩოგბურთი

| 10-16 აპრილი |
|---|
| **იაპონიის ღია პირველობა. ტოკიო** |
| ვაჟები. ნახევარფინალი: ანდრე აგასი (აშშ, 1) — ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 3) 7:5, 6:2; ჯიმ კურიე (აშშ, 4) — მაიკ ჩანგი (აშშ, 2) 6:4, 7:5. ფინალი: კურიე — აგასი 6:3, 6:4 |
| ქალები. ფინალი: ემი ფრეიზერი (აშშ, 2) — კიმიკო დატე (იაპონია, 1) 7:6, 7:5 |
| **ესპანეთის ვაჟთა ღია პირველობა. ბარსელონა** |
| ნახევარფინალი: თომას მუსტერი (ავსტრია) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 3) 6:3, 6:3; მაგნუს ლარსონი (შვედეთი, 7) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 5) 6:4, 4:6, 6:4. ფინალი: მუსტერი — ლარსონი 6:2, 6:1, 6:4 |
| **ჰიუსტონის (ტეხასი) ქალთა ღია პირველობა** |
| ნახევარფინალი: შტეფი გრაფი (გერმანია) — საბინა ჰაკი (გერმანია) 6:2, 6:2; ისა კარლსონი (შვედეთი) — მ. ბაბელი (გერმანია) 2-0. ფინალი: გრაფი — კარლსონი 6:1, 6:1 |



# კურიემ ისევ აჯობა აგასის

განკურნებულმა შტეფი გრაფმა სარბიელზე დაბრუნების შემდეგ თამაშ-თამაშ მოიგო ზედიზედ მეოთხე ტურნირი — ამჯერად ტეხასში, თან ისე, რომ სეტი ისევ არ წაუგია. გრაფს შეჯიბრების დაწყებამდე შემოეცალნენ მთავარი მეტოქეები: მარი პირსი, მაგდალენა მალეევა და მერი-ჯო ფერნანდესი, რომლებიც დაშავებულიყვნენ. ამათ არყოფნაში გაილაღა ჩვენმა ნინო ლუარსაბიშვილმა, რომელმაც მეოთხედფინალამდე მიაღწია, იქ კი გერმანელ ჰაკთან დამარცხდა.

ამასობაში ვაჟთა ელიტა ევროპაში ჩასულა და საფრანგეთის ღია პირველობისთვის თიხნარზე გამართული შეჯიბრებებით ემზადება. უკვე გაიმართა ეშტორილისა და ესპანეთის ღია პირველობები, როლან-გაროსამდე კი გრანდებს მონტე-კარლო, ჰამბურგი, ნიცა და რომი ელით.

ბარსელონაში მეორე წრეშივე ერთბაშად ორი განთესილი გავარდა. მსოფლიოს პირველი ჩოგნობიდან აგასის მიერ დამხობილმა პიტ სამპრასმა (1) 6:1, 2:6, 3:6 წააგო მსოფლიოს 84-ე ჩოგანთან, გერმანელ ოლივერ გროსთან, მუხლნამკურნალებმა სერხი ბრუგერამ (2) კი — 5:7, 1:6, ავსტრიელ გილბერტ შალერთან. შემდეგსავე წრეში პროგნოზების ორივე ამრევი გავარდა. სამაგიეროდ, სხვა განთესილებმა ივარგეს: კაფელნიკოვმა (3) მოუგო ჩილელ რიოსს 6:4, 6:3, ესპანელმა ბერესატეგიმ (4) — ჩეხ ნოვაჩეკს, ივანიშევიჩმა (5) კი — ნორვეგიელ რუტს 7:5, 6:1.

მეოთხედფინალში მასპინძლებს შავი დღე აყარეს: ბერესატეგი დაამარცხა ივანიშევიჩმა, ჯორდი არესი — ლარსონმა, კარლოს კოსტა — მუსტერმა. კაფელნიკოვმა ფრანც ტიერი შამპიონს მოუგო.

ფინალში მუსტერმა და ლარსონმა გააღწიეს. შვედი თიხაზე სათამაშოდ საგანგებოდ არც ვარჯიშობს, ვეტერანი ავსტრიელი კი ფიზმომზადების ფანატიკოსი ყოფილა. ტურნირში საგანგებოდ დამძიმებული ბურთებით თამაშობდნენ, რის გამოც მოწოდებისას ბურთის ფრენის სიჩქარე 150 კმ-სთ-ს აღარ აღემატებოდა. თიხნარზე თამაშის სპეციალისტმა მუსტერმა ზედიზედ მე-20-ედ მოიგო ფინალები, რომლებშიც კი გასულა, თუმცაკი დიდი სლემის ტურნირებში აქამდე თავი ვერაფრით გამოუჩენია.

სამპრასისაგან განსხვავებით აგასიმ კარგად დაიწყო ტოკიოში: ზედიზედ დაამარცხა ამერიკელი თომი ჰოუ 6:3, 6:2, კანადელი სებასტიან ლერუ 6:3, 7:5, ავსტრალიელი სკოტ დრეიპერი 6:4, 6:3, სამხრეთაფრიკელი ფერერა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერაფერი მოუხერხა მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-15 საფეხურამდე ჩამოქვეითებულ ჯიმ კურიეს, ვინაც ანდრეს ზედიზედ მეექვსედ (!) მოუგო. იქვე ქალთა ტიტული ზედიზედ მეოთხედ ვეღარ მოიგო კიმიკო დატემ: შარშანდელ ფინალში იაპონელს 7:5, 6:0 დაუმარცხებია ემი ფრეიზერი, გუშინწინ კი მასთანვე დამარცხდა.

## ფორმულა 1

# ლაუდა აღაშფოთეს



13 აპრილს ავტომობილიზმის საერთაშორისო ფედერაციამ პარიზის ბინაზე განიხილა „ბენეტონისა" და „უილიამსის" საჩივარი, აქაო და ბრაზილიის „გრან-პრიზე" ჩვენს მრბოლებს — შუმახერსა და კულტჰარდს საწვავის ფორმულის დარღვევის გამო დისკვალიფიკაცია უმართებულოდ მიეცით, ვინაიდან თავი ბენზინის მომწოდებელმა გარეშე ფირმამ შეირცხვინაო. ფედერაციასაც რაღა დარჩენოდა — რბოლის პირვანდელი შედეგი აღადგინა და ორივე მრბოლს დაუბრუნა ჩამორთმეული ქულები. სამაგიეროდ, გუნდები მეტად — 200-200 ათასი დოლარით დააჯარიმა, კონსტრუქტორთა შეჯიბრის ცხრილში კი ის ქულები დააკლო, გამართლებულმა მრბოლებმა სან-პაულუში რომ მოიპოვეს. ამ მანიპულაციების შედეგად „ფერარის" ავსტრიელი მრბოლი ბერგერი პირველიდან მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა, თუმცაკი მისი გუნდი კვლავაც ლიდერია.

ფედერაციის განჩინებამ გააოგნა ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდა, ვინაც „ფერარის" მრჩეველია. ლაუდას განუცხადებია, ავტომობილიზმის მამების ეს გადაწყვეტილება ფორმულა-1-ის ისტორიის უთვალსაჩინოესი კურიოზიაო. „მაგათ ისეთი პრეცედენტი შექმნეს, რომ ამიერიდან ყველა ეცდება მანქანის სპეციფიკაციების გადამეტებას და იმის ცდას, რომ თავისი მრბოლი რაგინდარა გზით ჩემპიონი გახადოსო", — უთქვამს დიდ ავსტრიელს.

ორი ეტაპის ახალი ჯამი: 1. შუმახერი (ბენეტონი) 14 ქულა; 2. ჰილი (უილიამსი) 10; 3. ალეზი (ფერარი) 8; 4. კულტჰარდი (უილიამსი) 6; 5. ბერგერი (ფერარი) 5; 6-7. ჰაკინენი (მაკლარენი) და ჰერბერტი (ბენეტონი) 3; 8. ფრენცენი (ზაუბერი) 2; 9. ბლანდელი (მაკლარენი) 1

კონსტრუქტორთა პირველობა (სანქციების შემდეგ): 1. ფერარი 13 ქულა; 2. უილიამსი 10; 3. ბენეტონი 7; 4. მაკლარენი 4; 5. ზაუბერი 2

## აქეთური, იქითური

პარასკევს სტეროიდების ჩვარების გამო მეორედ ჩავარდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ზემძიმეწონოსანი ძალოსანი ალექსანდრ კურლოვიჩი, რომელიც ბელორუსია, მაგრამ გერმანიის ერთ-ერთ კლუბში ვარჯიშობს. კურლოვიჩს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 1 400 დოლარითაც დააჯარიმეს. პირველად კი ამ ოთხი წლის წინ დაიჭირეს, როცა კანადაში სტეროიდებით გატენილი ჩემოდნის შეპარებას ცდილა. მაშინდელი დანაშაული კურლოვიჩისთვის შარშანწინლა უპატიებიათ.

*

პარასკევსვე არაბთა საამირო შარჯაში, აზიის თასის V გათამაშების ფინალში ინდოეთის კრიკეტის გუნდმა 8 ბჯითა და 8 წუებაზე მეტით დაამარცხა შრი-ლანკა. ფინალის და შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშეებადაც ინდოელები — მუჰამედ აზარუდინი და ნავჯოთ სიდუ სცნეს.

*

დღეისთვისაა დანიშნული წვეულება, რომელზეც ამერიკული ბურთაობის ცოცხალი ლეგენდა, კვორტერბეკი ჯო მონტანა სპორტიდან წასვლას გამოაცხადებს. ღონისძიება მოეწყობა სან-ფრანცისკოში, რომლის გუნდსაც მონტანამ ოთხჯერ მოაგებინა „სუპერბოული". მალე კვორტერბეკს გაცილებას მოუწყობენ კანზასშიც, რომლის გუნდშიც ბოლო წლებში თამაშობდა.

*

ამერიკაშივე კი დასრულდა პროფესიონალ კეტბურთელთა უმაგალითო გაფიცვა და სრულფასოვანი სეზონიც 25 აპრილს დაიწყება, მაგრამ ახლა მსაჯებს შეუკრავთ პირი, აღარ ვიმუშავებთ, თუ ახალ კოლექტიურ შრომითს ხელშეკრულებას არ გაგვიფორმებთო.

*

ურთულესი, 900 მილზე უგრძესი „საფარის რალი" შაბათს პირველად მოიგო იაპონელმა, გვარად ფუძიმოტომ, რომელიც „ტოიოტათი" ასპარეზობდა. მეორე ადგილიც იაპონელმა — შინოზუკამ („მიცუბისი") დაიკავა, მესამე კი მასპინძელი, კენიელი დუნკანი („ტოიოტა") იყო. „საფარი" წელს მსოფლიო პირველობის ჩათვლაში არ შედის, გამარჯვებულს კი ერთი პირობა გზა არევია, მაგრამ მოსახლეობას დაუკვალიანებია.

*

ნიგერიელი თარჯმორბენალი ქალი [illegible] აკპანი შეიქნა პირველი მძლეოსანი, ვისთან დოპინგის გამო დავაშიც გამტყუნდა იააფ-ი — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია. აკპანს ჩასახვის საწინააღმდეგო აბები გადაუყლაპავს, დოპინგ-კონტროლს კი ჰგონებია, ანაბოლურ სტეროიდებს ხმარობსო და დისკვალიფიკაცია მოუთხოვია. იმე იააფ-მა უსიტყვოდ აღადგინა.

*

ავსტრალიაში დაიწყო იქაური ბურთაობის სეზონი. ახალბედებმა — „ფრიმენთლელმა დოკერებმა" სტუმრად, მელბურნში სულ ცოტათი წააგეს იქაურ „რიჩმონდელ ვეფხვებთან" 85:90.

## კროსი

# რბენით გახალისებული ბზობა



კროსის მუდმივი მონაწილე ჟორა სტრაგეცკი

ლექსო ბურნაძე

XVI „ლექსოს კროსს" მშვენიერი დარი შეხვდა. განწყობილებაც შესაფერისი სუფევდა. უეჭველია, რომ 95-მა მორბენალმა და 80-მდე მოსეირემ ბზობის დილა ერთობ შინაარსიანად და ხალისიანად გაატარა.

თბილისში აკრედიტებული უცხო მისიებიდან არავინ მობრძანებულა. ხალხი საპატიო გვამებიდან ყველაზე მეტად ალბათ საფრანგეთის ელჩ ბერნარ ფასიეს მოისაკლისებდა, ვინაც ქართველებსა და მძლეოსნობას ერთხელ უკვე დადო პატივი და წინა შემოდგომით ჭავჭავაძის პროსპექტზე საქველმოქმედო მოსაზრებებით ირბინა. სამაგიეროდ, ორგანიზატორი არ დაულალატებიათ ვანის, ბორჯომის, ქსნისა და საგარეჯოს მძლეოსნობის სკოლებს, რომლებმაც ვაკის პარკში მთელი გუნდებიც კი მოავლინეს.

ბოლო წლების „ლექსოს კროსებში" ერთი საგულისხმო ტენდენცია შეინიშნება: მორბენალთა ლიანგში წვრილფეხობის წილი მატულობს, რაც უთუოდ მისასალმებელია. გუშინწინაც ერთობ სასიამოვნო სანახავი იყო, თუ რარიგ ცდილობდნენ ნორჩები თავის გამოჩენას.

საკალათბურთო ცემა-ტყეპისგან განსხვავებით კროსი, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად დასრულდა, რაც შეჯიბრის ბუნებამა და მოხალისე მსაჯების მიუკერძოებლობამ განაპირობა. გამოვლინდა ყველა კატეგორიის გამარჯვებული, დარიგდა ფულადი პრიზები, ვაჟთა და ქალთა აბსოლუტურ ჩემპიონებს კი გარდამავალი „ერთგულების თასებიც" გადაეცათ. სპორტულ ოჯახთა შეჯიბრი მოიგეს ძმებმა ვალიშვილებმა, უხუცესი მონაწილის პრიზი ერგო 62 წლის რევაზ ნოვეიშვილს, უმრწემესისა — 9 წლის ლევან ჩიქოვანს (საგარეჯო).

წრის სიგრძე: 1 310 მ
დისტანცია: 4 წრე



**XVI „ლექსოს კროსი"**
ვაკის პარკი. 16 აპრილი, 1995 წელი

| | ვაჟები | | | ქალები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატეგორია | მონ | გამარჯვებული | სადაურობა | მონ | გამარჯვებული | სადაურობა |
| უმცროსკლასელები | 16 | იგორ სტრუკოვი | ბორჯომი | 16 | თეა მოდებაძე | ვანი |
| მოსწავლეები | 23 | რამაზ ჩადუნელი | ბორჯომი | 11 | ქეთინო აბრამიძე | ვანი |
| ზრდასრულნი | 18 | დავით ჭულუხაძე | თბილისი | 3 | თეა გილაშვილი | საგარეჯო |
| ვეტერანები | 7 | შალვა ნადირაძე | მხედრიონი | 1 | — | |
| აბსოლუტური | 64 | ნადირაძე | 17' 04" | 31 | აბრამიძე | 22' 18" |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29